ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 206 (18748) ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები

ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲣᲡᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ პერიოდი დადგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში: აქ იწყება საანგარიშო-საარჩევნო კრებები. მღელვარებითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეგებებიან მათ კომუნისტები, რომლებსაც ანგარიშგება-არჩევნები მიაჩნიათ თავიანთი ძალების საბრძოლო დათვალიერებად, გაწეული მუშაობის საფუძვლიანი ანალიზის ხანად, მორიგი ამოცანების გადასაწყვეტად შემოქმედებითი ენერგიის დარაზმვის ახალ ეტაპად.

ჩვენს პარტიაში ახლა 428 ათასი პირველადი ორგანიზაციაა. და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათი როლის, როგორც შრომითი კლენტივების წამყვანი ძალისა და პოლიტიკური ბირთვის შემდგომ ამაღლებას. ანგარიშგება-არჩევნების გაძართვის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ საკითხებს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა გამოიყენონ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის, საწარმოო საქმეებზე პარტიული გავლენის გაძლიერების უფლებები, ადამიანთა აღზრდის და ყოფა-ცხოვრების, შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის განხორციელების საკითხები.

რა არის კრებებისა და კონფერენციების ყურადღების ცენტრში? უწინარეს ყოვლისა მუშაობა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის, 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. სადაც უნდა მოქმედებდეს პირველადი პარტორგანიზაცია, არ არსებობს მისთვის იმაზე უფრო მაღალი მოვალეობა, ვიდრე ის, რომ მაქსიმალური წვლილი შეიტანოს პარტიის მიერ დასახული მიჯნების მიღწევაში. აქ გვარიანი წარმატებები გვაქვს, რომლებიც ჯეროვნად უნდა შევაფასოთ ანგარიშგება-არჩევნების დროს.

მაგრამ ამასთან თვალი არ უნდა დავხუჭოთ არსებულ ნაკლოვანებებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. არის უბნებიც, სადაც ხუთწლიანი გეგმის დავალებანი არ სრულდება, სადაც ჩამორჩენიან, შექმნილია ერთგვარი დავალიანება. ყოველივე ეს მოითხოვს კონკრეტულ ანალიზს, ისეთი ღონისძიებების კოლექტიურ შემუშავებას, რომლებიც ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების დასახულ ტენდენციებს მიანიჭებენ მყარ, უწყვეტ ხასიათს.

ყოველი პარტორგანიზაციისათვის მთავარი საკითხია შრომის ნაყოფიერების კარდინალური ამაღლება. ეს კი, რა თქმა უნდა, ბევრადაა დამოკიდებული დისციპლინაზე და სათანადო წესრიგის დამყარებაზე, რასაც მიზნად ისახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ამასწინანდელი დადგენილება. პრაქტიკულად როგორ სრულდება ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი. რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს თითოეულ უბანზე დისციპლინის განსამტკიცებლად? რა როლს ასრულებენ აქ კომუნისტები? ამ კითხვებს პასუხი უნდა გასცეს საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა და კონფერენციებმა.

კომუნისტთა საზრუნავი დღეს დაკავშირებულია ძირითადი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტასთან. საქმე ეხება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებას, ხელშეკრულებებითა და შეკვეთებით მიწოდების გეგმების შესრულებას. ანგარიშგება-არჩევნების დროს საუფუძვლიანად უნდა განვიხილოთ, როგორ არის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, მატერიალური და შრომითი რესურსების დაზოგვის საქმე, რამდენად ქმედითია სოციალისტური შეჯიბრება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახალხო მოხმარების საჭირო წარმოებას.

ПРАВДА 6 სექტემბრის მოწინავე

დიდი ამოცანებია დასახული აგროსამრეწველო კომპლექსის პარტორგანიზაციების წინაშე. უწინარეს ყოვლისა ეს არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპის დაჩქარება, მისი ინტენსიფიკაცია. კრებებსა და კონფერენციებზე ყოველმხრივ უნდა განვიხილოთ მიწათმოქმედების, კოლექტიური სამეურნეოანგარიშიანი იჯარის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების დანერგვა, სოფლად სოციალური საკითხთა გადაწყვეტა. ვაანალიზებთ რა მარცვლეულისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების შესრულებას, მთავარია მშრომელთა მთავარი მეცადინეობა მოვახმაროთ მომავალში საიმედო მუშაობის პირობების შექმნას.

დრო ამაღლებს მოთხოვნებს სამინისტროებისა და უწყებების კომუნისტებისადმი. თავიანთ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მათ პრინციპული პოზიციებიდან უნდა უპასუხონ, გადაჭრით იბრძვიან თუ არა უწყებრიობისა და კუთხურობის ბარიერების დასაძლევად, მტკიცედ დგანან თუ არა სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე. მათი უპირველესი ვალია გამოავლინონ შეურიგებელი დამოკიდებულება კანცელარიული ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმის მიმართ, შეამცირონ ადგილებზე გასაგზავნი ქაღალდების ნაკადი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე მთელი პარტიის, თითოეული კომუნისტის საქმედ დასახელებულია იდეოლოგიური მუშაობა. როგორ წარმოებს იგი ამა თუ იმ პარტიულ ორგანიზაციაში? არის თუ არა უზრუნველყოფილი მისი ერთიანობა ორგანიზაციულ-პარტიულ და სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობასთან? საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ამოცანა ის არის, რომ სტიმული მისცეს პოლიტიკური განათლების გაუმჯობესებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლებას, ხელი შეუწყოს კარგად მომზადებული, იდეურად მომწიფებული კადრებით ყველა იდეოლოგიური უბნის განმტკიცებას. ყველაზე ხეროიზული ყურადღება დაეთმოს ახმოვანებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას, ამ საქმეში პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანთა მონაწილეობას.

ანგარიშგება-არჩევნების დროს შეუძლებელია, რა თქმა უნდა, გვერდი ავუაროთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხებს. პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობის ტალღის ბაზებზე დაკავშირებულია, უწინარეს ყოველისა, ფორმალიზმისა და ქაღალდომოხზველობის აღმოფხვრასთან, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების გაძლიერებასთან. პარტიული რიგების შევსებას, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდას, პარტიული ძალების განაწილების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით წარმოების გადამწყვეტ რგოლებში და ჩამორჩენილ უბნებზე, — ყოველივე ამას ღრმად განხილვა სჭირდება.

„ჩვენ ნამდვილი ომი უნდა გამოვუცხადოთ ისეთ პრაქტიკას, როცა ჩვენი დემოკრატიული ნორმები და წესდებულებანი განმტკიცებული არ არის საქმეებით, როცა სჯერდებიან საქმის მხოლოდ ფორმას, მორჩენებითობას, — თქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.— განა დიდი სარგებლობა მოაქვს, ვთქვათ, კრებას, თუ იგი, როგორც ეს ხშირად ხდება, ძირითადად ეწყობა მომზადებული სცენარით, თუ არ არის დაინტერესებული, გულახდილი მსჯელობა, თუ მონაწილეთა გამოსვლები წინასწარ არის რედაქტირებული, ხოლო ინიციატივას და მით უმეტეს კრიტიკას აშალაშინებენ და არბილებენ“.

ყველგან უნდა ავამოქმედოთ პარტიის ისეთი დიდი რეზერვი, როგორიც შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარებაა. დეკრებებმა და კონფერენციებმა გვიჩვენოს პრაქტიკისა და წარმოშობილი პრობლემების კოლექტიური გაანალიზების, პრინციპული ურთიერთმომთხოვნელობის მაგალითი. უნდა ვიზრუნოთ საქმიანი შენიშვნების, წინადადებების, სურვილების, მათ შორის იმათი რეალიზაციისათვის, რომლებიც გამოითქვა პარტჯგუფებსა და საამქრო პარტორგანიზაციებში გამართული ანგარიშგება-არჩევნების დროს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მივუდგეთ არჩევითი აქტივის ფორმირებას.

ანგარიშგება-არჩევნები თითოეული პარტიული ორგანიზაციისათვის ხერხოსნული გამოცდაა, და საჭიროა, რომ იგი ღირსეულად ჩავაბაროთ!

535 ათასი ტონა ჩაისათვის!

პლანტაციიდან — მიკროფაბრიკაში

ᲐᲡᲔᲗᲘ კონვეიერით მუშაობენ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს კ. მარქხის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები, სადაც წელს მწყობრში ჩადგა ჩაის მიკროფაბრიკა. აქ მიმდინარე სეზონში გადაამუშავებენ სამი ათას ტონაზე მეტ ნედლეულს, რომელიც ახლომდებარე პლანტაციებიდან მოაქვთ.

კოლმეურნეობაში 246 მექანიზატორია გადაჭიმული ჩაის პლანტაციები. საკუთარი მიკროფაბრიკის ამუშავება მშრომელებს საშუალებას მისცემს მაღალწიონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ჩაის ფოთლის კრეფა კ. მარქხის სახელობის კოლმეურნეობაში. კომკავშირელი ნინო დარასელია წელს 12 ტონა ხარისხიანი ჩაის ფოთოლისათვის იბრძვის. დავალებას მალე შეასრულებს.

გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ

გამარჯვებულნი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ. სასიხარულო ცნობა მოვიდა. ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხნის კოლექტივმა წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით დარგის საწარმოთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე საპრიზო ადგილი და ფულადი პრემია მოიპოვა.

ყველა უბანზე გაჩაღდა შრომა უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად. გადაჯარბებით შესრულდა ივლის-აგვისტოს დავალებანიც. ეს გამარჯვება ერთსულოვანმა კოლექტივმა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთვის იუბილეს მიუძღვნა. მომინანქრებელი სადენების ქარხნის კოლექტივის ხელმძღვანელები შეჯიბრების ავანგარდში მყოფთა რიგებიდან განსაკუთრებით აღნიშნავენ მომინანქრების ოსტატებს ე. ეოზოევას, ა. გაბარაევს, ლ. მამიტოვს, რ. ჭავჭავაძეს, რ. გოგოლაევას. (საკ. კორ.).

თურლაის ᲧᲐᲛᲘᲠ ᲛᲘᲬᲔᲑᲖᲔ

ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ სხვადასხვა რაიონის ასი საუკეთესო მექანიზატორი ჩავიდა სპეციალური ავიარეისთან ყაზახეთის თურლაის ოლქში. ქართველი კომბაინერები დახმარებიან მოძმე რესპუბლიკის კოლეგებს, რომ შემჭიდროებულ ვადაში და ხარისხიანად აიღონ პური ორი რაიონის — ესილისა და კიიმანის მეურნეობების ყანებში. ქართველ კომბაინერებს გულთბილად შეხვდნენ მეურნეობებში.

ჩვენმა ბიჭებმა სწრაფად და გულმოდგინედ მოამზადეს მანქანები ყამირის დიდი პურისათვის საბრძოლველად, რითაც დაიმსახურეს მკის სამუშაოების ხარისხის ადგილობრივი კომისიის პირველი ქება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო კომიტეტში მოვიდა ცნობა, რომ ქართველი მექანიზატორები მზად არიან მუშაობისათვის და ამ დღეებში შეუდგნენ მკას.

პირველი განალეწი — 400 ტონა

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ (საკ. კორ.). შირაქის ნოყიერ მიწაზე ყოველწლიურად დიდი ფართობი ეთმობა ისეთ ძვირფას სასურსათო და ტექნიკურ კულტურას, როგორიცაა მზესუმზირა. რაიონში წელს 7.800 ჰექტარზე უთესიათ ეს კულტურა. განსაკუთრებით დიდ ფართობებზე — თითოეულს 800-1.000 ჰექტარზე — უთესიათ მზესუმზირა ზემო მაჩხაანის, ზემო ქედის, წითელწყაროს ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებს.

დაიწყო მზესუმზირას აღება. პირველი განალეწი — 400 ტონა მაღალხარისხოვანი მზესუმზირა უკვე ჩაბარდა სახელმწიფოს.

სულ რაიონის მხვნელ-მთესველები წლეულს 7.000 ტონა მზესუმზირას დაამზადებენ.

მანქანების ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲒᲔᲓᲠ ოპერაციას, რომლებიც წინათ სამტრედიის სავაგონო დეპოში ხელით სრულდებოდა, ახლა ახორციელებენ ახალი განიესარანდავი და შვეულსაბურღი ჩარხები. ისინი დამონტაჟდა და საკეკსპლოატაციოდ გადაეცა ორი თვით ადრე, ვიდრე გრაფიკით იყო გათვალისწინებული.

ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომელებმა მხარი დაუჭირეს მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა მოწინავე კოლექტივების მოწოდებას — აამაღლონ წარმოების მექანიზაციის დონე.

გულგულას განთიადი

ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲣᲡᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ პერიოდი დადგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში: აქ იწყება საანგარიშო-საარჩევნო კრებები. მღელვარებითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეგებებიან მათ კომუნისტები, რომლებსაც ანგარიშგება-არჩევნები მიაჩნიათ თავიანთი ძალების საბრძოლო დათვალიერებად, გაწეული მუშაობის საფუძვლიანი ანალიზის ხანად, მორიგი ამოცანების გადასაწყვეტად შემოქმედებითი ენერგიის დარაზმვის ახალ ეტაპად.

ᲑᲐᲐᲕᲓᲠᲓᲐ. ჯერ წვიმდა, წვიმდა კოკისპირულად. მთლად გადაირია სტიქია. მართლა ცოდვილი რომ იყოს დედამიწა, ასე მინც რით გაამოროტა და განარისხა ზეცა. ცუდს უთქვამდა გული გლეხკაცს. როგორი თქეშია და ხოფელი ჩუმადაა... კარგს არაფერს მოახწავებს ეს თავსხმა. უცბად ხეტყვა ეერეხივით წამოვიდა — უზარმაზარი ყინულის ბურთები, სახურავებს თითქოს ტყვიას უშენენო ზეცადან. მოდგა და მოდგა ხეტყვა... თითქოს ჯიბრში უდგახო ხოფელს.

— ახე როგორ უნდა აღგავოს და მოსპოს, ხალხო, ხეტყვამ ეს შვილივით ნაზარდი ვენახი, აი, დედახა გლეხკაცის ჯოფავ და ამაგო! ოთხმოცი წლისა ვარ, ხეტყვა როგორ არ მინახავს, მაგრამ ახეთი?! ისეტყვებოდა ხოფელი ზოლზოლად, ერთი მხარე მაინც გადარჩენილიყოს! — ამბობდა ლექსო პაპა, მაგრამ ვაი, ამნაირ თქმას, ცრემლი ყელში ჰქონდა მობჯენილი ბერიკაცს.

დახეტყვა „გულანწარები“, „ოკაურები“, „ნარიყები“ და „ტოტაჩელები“... მოთარეშეხავით მოსრა ხოფელი, ვერანამ!

მეურნეობის კანტორის წინ ხალხს მოეყარა თავი, ყველამ იცოდა მეურნეობის დირექტორი უთენია იყო ხახლიდან გახული, უცდიდა ხალხი თავკაცს.

მანქანა გამოჩნდა, ხალხმა თვალი გზას მიაპყრო, შედგა ღონიერი მანქანა, დირექტორმა დინჯად თქვა:

— დგომის დრო აღარ არის, ხალხო, ახეთ დროს ჩვენი წინაპარი იტყოდა: ჭირსა შიგან გამაგრება ახრე უნდა, ვით ქვიტკირსაო, ახა ჩვენც ეგრე ვთქვათ, და... ხაქმეს ვეწოთო.

უკვდავია ჩვენი ხალხი, რადგან ჩვენი გლეხი მიწას ახეა შეზრდილი.

აი ეს არის ახლანდელი „ქუდზე კაცი“, პირველ ხამ დღეში 40 ჰექტარი ვენახი გახხლეს...

გახუფთავდა, შეიწამლა ვენახები, მოზიდეს ხახუქი, გადაიხნა და დათესა 120 ჰექტარი ხიმინდი, ლობიო, კიტრი... ხოფელი ჯარას დაემხგავხა, დარდი გადაიყარა, გული გაიმხნევა.

...არიან ადამიანები, რომლებიც ხადაც დაიბადნენ, იქვე ამოვარებენ ხიცოცხლეს. ერთი შეხედვით, მათ ცხოვრებაში ხაგანგებოც არაფერი მომხდარა. არც ხხვისგან განსხვავდება, თითქოს, და მაინც თვალსაჩინო და ხაგანგებო კაცია. ხულ ხხვა ხხივი უდგას თვალში, ხხვა გული და ხხვა ჯანი აქვს. სწორედ ახეთია ეს ილია, ილია ომანაშვილი. თელავის რაიონში ცნობილი კაცი, ხოფელ გულგულაში მეთესლეობის ხაბჭოთა მეურნეობის დირექტორი, 50 წელს გადაცილებული ბრგე კაცი, შრომით, ოჯახით ხახელოვანი.

გინახავთ, დირექტორი ორმოს თხრიდეს?..

ᲰᲝᲓᲐ, ახეთია ეს ომანაშვილი. თუ თვალი შეგახწრო რამეს, ხელმარჯვედ ვერ უდგეხარ, იქვე ჩამოგხვამს და ხაქმეს თვითონ დაუტრიალდება.

ანდა, გინახავთ ამდენ ხაქმე-ორომტრიალში, ამდენი მომხვლელ-წამხვლელის დროს დირექტორს ყველაფერი გადადგოს და დამდურებული ძმების შეხარიგებლად წახულიყოს?

ხოფელში გამრჯე კაცს ხაათი და დღის რეჟიმი არ გამოადგება.

ხოფელი დიდია, კაცმა არ იცის რა გამოგიხტება, ხაათა გაქვს გზა და გეზი, ხან ჭირისუფლობა გიწევს, ხან — ქორწილი, არსად არ უნდა გამოაკლდე.

ომანაშვილის ხამუშაო დღე მაშინ იწყება, როცა თენდება, ხამაგიეროდ მაშინ არ თავდება, როცა ღამდება...

ხშირად მახ დილა ქუჩიდან ღორღის გადაყრით ეწყება.

ხოფელი გულგულა კახეთის ᲒᲣᲚᲒᲣᲚᲐᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ

პირობაზე ხაშუალო ხოფელია — 450 კომლი არც ბევრია და არც ცოტა. ღონიერი ხოფელია. მტერ-მოყვრის მყოლი და ტრადიციის მქონე. 1976 წლამდე აქ კოლმეურნეობა იყო, მერე ხაბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა და თავმჯდომარე დირექტორად დანიშნეს. ფხიანი თავმჯდომარე იყო ომანაშვილი და დირექტორიც ახეთი გამოდგა. მომქირნე, გამრჯე, გულიხხმიერი. ხხვა რა უნდა ჯანხალ კაცს.

ხაბჭოთა მეურნეობად კოლმეურნეობა ახე, მაიბრად კი არ გადაუკეთებიათ, ხაამოდ აქ ხაქმე კარგად იყო დაყენებული.

კოლმეურნეობას ხათესლე მეურნეობა ყველაზე უკეთესი ჰქონდა რაიონში.

ხათქმელად ოილია და, თესლი განსაკუთრებულ ყურადღებას და მოვლას მოითხოვს. 110 ჰექტარი კამის, 70 ჰექტარი ხახვის, 60 ჰექტარი ხიმინდის, 40 ჰექტარი კიტრის, 30 ჰექტარი ქინძის, 20 ჰექტარი ნივრის და რა ვიცი კიდევ რის თესლი არ აქვთ გულგულას მინდვრებზე.

60 ჰექტარი ხახილოსდან აქვთ. მეცხოველეობის ფერმაში ოთხას ორმოცდაათამდე სული ხაქონელია, ხამოცდაათამდე — ნეზვი... მოკლედ მეურნეობა დიდია, მაგრამ 275 ჰექტარ რჩაწითელს არ იტყვიან? თუ აქაურებს ჰკითხავთ (მით უმეტეს, თუ მეზობელი ხოფლიდან არავინ ‘ხვიმენს), აქაური რჩაწითელის მსგავხი ღვინო არსად არ დგება.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, მოგეხსენებათ, [illegible] აქვს, ჭარვახა და ოჭროს იქით ამადლიან, მტევანს რომ ადრიან. ეს ყველამ კარგად იცის.

ᲮᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, სადაც მიხვალ, იქაური ღვინის ბადალი რომ ქვეყნად არ მოიპოვება, ამახ რომ გეტყვიან ეს ნამდვილ, მაგრამ შენც რომ გჯერა — ეს როგორღაა?!

აქაურ რჩაწითელს არაფერი შეედრება! ყველას გვითქვამს, მაგრამ აქ ეს მართლა ახეა. როგორც კი კოპწია ჭაარფეშას წაიტანენი, „ადგახხ ლხინითო“, გეუბნება რაკრაკით.

ᲫᲣᲑᲐᲮ ᲑᲘᲭᲘ — ახე ეძახიან ხოფელში ომანაშვილს — ხან მზიანსა ჰგავს, ხან ᲭᲔᲯᲐᲥᲣᲮᲘᲚᲘ, თუ გაქო, ხომ გაქო და გაქო... თუ გაძაგა გიჯობს გაეცალოს.

— ᲩᲔᲛᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲫᲐᲒᲔᲑᲘ ᲕᲘᲡ ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ? ᲔᲠᲗᲘᲐ, ᲛᲣᲧᲗᲐᲮᲝᲠᲐ ᲛᲫᲐᲒᲐ...

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲮᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲛᲣᲧᲗᲐᲮᲝᲠᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ! — ᲝᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲗᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲮᲔ ᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲑᲔᲓᲐ.

ᲛᲔᲠᲘ ᲛᲔᲣᲮᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲔᲑᲐᲡ ᲓᲝᲛᲧᲕᲐ, ᲐᲮᲘᲝ ᲗᲥᲕᲐ. ᲐᲮᲚᲐ, ᲮᲝᲛ ᲐᲓᲐᲗ-ᲬᲔᲮᲘᲡᲑᲔᲖᲔ ᲑᲘᲠᲕᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲜᲔ ᲒᲣᲚᲒᲣᲚᲐᲨᲘ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲓᲐ ᲪᲣᲓᲝ ᲬᲔᲮᲘ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲝᲭᲠᲝᲡ ᲘᲥᲘᲗ ᲐᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜ. ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲥᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲬᲘᲡᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲭᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲥᲘᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲗᲕᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲤᲣᲚᲐᲓ, ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲒᲕᲘᲗᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲜᲪ ᲠᲝᲛ ᲒᲯᲔᲠᲐ — ᲔᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲦᲐᲐ?!

ᲐᲥᲐᲣᲠ ᲩᲐᲬᲘᲗᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ! ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲕᲘᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲮᲔᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲙᲝᲙᲮᲘᲐ ᲐᲖᲐᲠᲤᲔᲨᲐᲠ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲛᲔᲑᲓᲐ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ „ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲚᲘᲡ“ ᲚᲘᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲮᲕᲘᲗ. ᲠᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲨᲔᲣᲤᲠᲗᲮᲝᲑᲐᲗ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲜᲪ ᲠᲝᲛ ᲒᲯᲔᲠᲐ — ᲔᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲦᲐᲐ?!

... ᲝᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲔᲐ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲔᲬᲧᲠᲝ, ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲣᲠᲘ, ᲨᲐᲕᲐᲓᲛᲘᲮᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ, ᲚᲝᲪᲕᲐ-ᲛᲐᲓᲚᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲠᲣᲚᲘ. ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲗᲨᲔᲚᲘᲗᲘ.

ᲬᲐᲛᲝᲕᲓᲒᲐ ᲓᲔᲓᲐᲗᲘᲗ ᲝᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲣᲚ ᲝᲠᲘ ᲮᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲥᲕᲐ:

— ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ ᲓᲔᲓᲐ!

ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲮᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲮᲕᲔᲠ ᲮᲣᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲔᲣᲚᲘ ᲙᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲣᲑᲠᲣᲜᲓᲘᲗ.

— ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ, ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲑᲝ! — ᲓᲐᲒᲕᲚᲝᲪᲐ ᲝᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲗᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲮᲔ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲨᲔᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲑᲔᲓᲐ.

ᲛᲔᲠᲔ ᲛᲔᲣᲮᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲛᲐᲧᲕᲐ, ᲐᲮᲘᲝ ᲗᲥᲕᲐ. ᲐᲮᲚᲐ, ᲮᲝᲛ ᲐᲓᲐᲗ-ᲬᲔᲮᲘᲡᲑᲔᲖᲔ ᲑᲘᲠᲕᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲜᲔ ᲒᲣᲚᲒᲣᲚᲐᲨᲘ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲓᲐ ᲪᲣᲓᲝ ᲬᲔᲮᲘ ᲐᲠᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲝᲭᲠᲝᲡ ᲘᲥᲘᲗ ᲐᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜ. ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲥᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲬᲘᲡᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲭᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲥᲘᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲗᲕᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲤᲣᲚᲐᲓ, ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲒᲕᲘᲗᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲜᲪ ᲠᲝᲛ ᲒᲯᲔᲠᲐ — ᲔᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲦᲐᲐ?!

ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲘᲞᲐᲠᲐ ᲦᲐᲛᲔ. ᲣᲪᲘᲐᲠᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲩᲣᲛᲠᲐᲓ. ᲐᲚᲘᲝᲜᲨᲘᲡ ᲩᲘᲢᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲗ ᲑᲘᲚᲘᲛᲐᲖᲘᲡ ᲐᲣᲛᲘᲯᲔᲠᲓᲜᲔᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜ. ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲛᲐᲛ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲘᲪᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲥᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲬᲘᲡᲝ ᲓᲐ ᲣᲩᲣᲥᲠᲘ, ᲜᲐᲮᲚᲔᲓᲐ ᲝᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲮᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲒᲐᲡ.

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

გულგრილობისა და პასიურობის შედეგი

ცხაკაიას ხალიჩების კომბინატი რესპუბლიკაში ერთადერთია, სადაც მანქანური წესით ქსოვენ ლამაზ ქართულ ხალიჩებს, ამასთან იგი ცხაკაიას რაიონში ყველაზე მსხვილი საწარმოა. აქ ყოველწლიურად მილიონობით მანეთის პროდუქცია მზადდება. კომბინატის 1500-კაციანი კოლექტივის ავანგარდშია პირველადი პარტიული ორგანიზაცია, სადაც 120 კომუნისტი ირიცხება. პარტიული ორგანიზაციის შიგნით არის პირველადის უფლების მქონე ექვსი ორგანიზაცია და თერთმეტი პარტიული ჯგუფი.

ახლახან მაღალორგანიზებულად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში მოეწყო კომბინატის სართავი წარმოების „ბ“ ცეხის პარტიული ჯგუფის საანგარიშოსაარჩევნო კრება, რომელსაც პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ესვანჯია ესწრებოდა. ამ დღეებში პარტიის რაიკომის ბიუროს განიხილა საკითხი ამ კრების შედეგების შესახებ.

ბიუროს აღნიშნა, რომ ერთ დროს მოწინავე ეს ცეხი უკანასკნელ პერიოდში დიდად ჩამორჩა. წელს თითქმის არცერთ თვეს (გარდა აპრილისა) არ შეუსრულებიათ ნორთის გამოშვების გეგმა. ამის ძირითად მიზეზად კრებამ ჩათვალა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დაბალი დონე, წარმოების ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობის გამო ტექნოლოგიურ პროცესებში ხარვეზების დაშვება, მძიმე სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები.

სართავი წარმოების ხელმძღვანელობა (უფროსი კომუნისტი ზ. ჯიბლაძე) არ იჩენდა მომთხოვნელობას დარღვევების გამომწვევი მიზეზების აღსაკვეთად.

მუშაობას დიდად აფერხებდა საბერტყ-სამღებრო განყოფილების (უფროსი ა. ბოთერაშვილი) გაუმართავი მუშაობა. აქ ვერ ითვისებენ მანქანების სიმძლავრეებს, ბმის გამო, რომ სამღებრო ჩანები ვ. ესვანჯია ესწრებოდა. ამ დღეებში პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი ამ კრების შედეგების შესახებ.

ბიურომ აღნიშნა, რომ ერთ დროს მოწინავე ეს ცეხი უკანასკნელ პერიოდში დიდად ჩამორჩა. წელს თითქმის არცერთ თვეს (გარდა აპრილისა) არ შეუსრულებიათ ნორთის გამოშვების გეგმა. ამის ძირითად მიზეზად კრებამ ჩათვალა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დაბალი დონე, წარმოების ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობის გამო ტექნოლოგიურ პროცესებში ხარვეზების დაშვება, მძიმე სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები.

სართავი წარმოების ხელმძღვანელობა (უფროსი კომუნისტი ზ. ჯიბლაძე) არ იჩენდა მომთხოვნელობას დარღვევების გამომწვევი მიზეზების აღსაკვეთად.

მუშაობას დიდად აფერხებდა საბერტყ-სამღებრო განყოფილების (უფროსი ა. ბოთერაშვილი) გაუმართავი მუშაობა. აქ ვერ ითვისებენ მანქანების სიმძლავრეებს, ბმის გამო, რომ სამღებრო ჩანები უვარგისია, შეღებილი ბოჭკოები უხარისხო გამოდის. არის სხვა ტექნიკური უწესრიგობანი, რომელთა გამოსწორებისათვის არავინ ზრუნავს.

ზოგიერთი მრთველი სათანადოდ არ პატრონობს დაზგა-დანადგარებს, ქარგლები, მათი ხელმძღვანელი, კომუნისტი ი. ჯავახია სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ სიმძლავრეთა გამართული მუშაობისათვის, ნედლეულის დასამუშავებელ ქიმიურ ნივთიერებათა მომარაგებისათვის, ხშირად არა აქვთ ხოლმე ფთილა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაწეული ეროგვარი მუშაობის მიუხედავად, საამქრო პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება, რამაც განაპირობა ის, რომ სართავი წარმოების მუშა ს. ქადარია საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა, ხოლო მეფთილე ლ. ლიპარტია, პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი ა. ქაჩიბაია, ე. ხურცია, მ. მაქაცარია შვებულების დამთავრების შემდეგ სამუშაოზე აღარ გამოცხადდნენ. ამ და სხვა მიზეზებით ხშირია საჩივრი აპარატის, სხვა დანადგარების მოცდენები. ხშირად უყურადოდ იხარჯება ნედლეული, ცალკეული მრთველები ბოლომდე არ ამუშავებენ ფთილებს. ამ საქმეში არ იგრძნობა კომუნისტების, სახალხო კონტროლიორების როლი.

საანგარიშო პერიოდში, მართალია, ტარდებოდა პარტიული ჯგუფის კრებები, არ მალავდნენ ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს, მაგრამ საქმე ამით მთავრდებოდა და მათი დაძლევისათვის შემდგომ აღარავინ ზრუნავდა.

მოუთმენელია ისიც, რომ საამქროს სახურავიდან წვიმა ჩამოდის. ვერ ხერხდება დაზგა-დანადგარების, დასამუშავებელი ნედლეულის მოვლა.

პარტიის რაიკომის ბიუროზე აღინიშნა აგრეთვე კომბინატის ადმინისტრაციის, პარტბიუროს, პროფკავშირის კომიტეტის, წარმოების პარტიული ორგანიზაციის არასაკმაო მუშაობა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყველა უბანზე წესრიგის დასამყარებლად. ბიურომ დაავალა მათ განახორციელონ რადიკალური ღონისძიებანი საწარმოო პროცესების სრულყოფისათვის, პარტიის ძირეული რგოლების მუშაობის ეფექტიანად წარმართვისათვის. დაავალა მათვე განიხილონ სართავი წარმოების, სართავი და სამღებრო საამქროების და მომარაგების განყოფილების უფროსების ზ. ჯიბლაძის, გ. გვაზავას, ა. ბოთერაშვილის, ვ. ნადარაიას დაკავებულ თანამდებობაზე შემდგომი მუშაობის მიზანშეწონილობის საკითხი.

ბიურომ ცნობად მიიღო, რომ პარტჯგუფორგად არჩეულ იქნა ცვლის მოწინავე მუშა, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი ლუიზა თურქია.

ბიურომ დასახა სხვა საჭირო ღონისძიებანი პარტჯგუფის, მთლიანად საამქროს მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის.

გ. შენგელია,
„ვაზეთ „კოლხეთის“ რედაქტორის მოადგილე.

ДИСЦИПЛИНА ЧВЕЛГАН ДА ЧВЕЛАФЕРШИ

ელემენტარული პასუხისმგებლობის დეფიციტი

გორულ ატამს სახელი რომ გაუთქვეს, ხიდისთაველები იყვნენ. მართალია, ამ სოფლის ხილთა ქედს დღეს აღარავინ ამბობს, მაგრამ აქაური მიწა და ბუნებრივი პირობები ძველებურად უნიკალურია. თუ მათ გონივრულად გამოიყენებ, გულს არ დაგწყვეტენ, ბარაქით აგავსებენ. ამგვარი ფიქრი აღგვეძრა, როცა ხიდისთაველთა მოუვლელი ბაღ-ვენახების დათვალიერების შემდეგ დამძიმებული სიტუაციის განსამუხტავად კოლმეურნეობის ბრიგადირმა ილო გიუაშვილმა სანიმუშო ვენახში შეგვიყვანა.

— ესეც კოლმეურნეობის ზვარს ეკუთვნის, მაგრამ მას პენსიონერი ბესო ტლაშაძე უვლის,—ისე თავმომწონედ თქვა ბრიგადირმა, თითქოს თავის ნახელავს გვიჩვენებდა.

გალაღებული, მტევნებით დახუნძლული ვენახის ხილვამ გულს ნათელი მოჰფინა. მეზვრეც მოვიკითხეთ და ნალოლიავები ვენახი შევუქეთ.

შრომის ვეტერანს ესიამოვნა, მისმა წარმატებამ საერთო ყურადღება რომ მიიპყრო. მაგრამ გულისტკივილიც გაგვანდო: ჩემი ნაჯაფი ყველას ვერ გასწვდება; მიწაზე თუ არაფერი მოვიყვანეთ, დიდმა-პატარამ რა უნდა ჭამოსო, დასძინა.

ამის მთქმელს, უწინარესად, მისი ნაკვეთის მომჯნავე გაპარტახებული ვენახები და მიგდებული მიწები ჰქონდა მხედველობაში. თქმა არ უნდა, საყვეყურ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასაც ეკუთვნოდა, რომელსაც მიწისადმი უდიერი მოპყრობა მაინცდამაინც დიდად არ ენაღვლება.

ცოტა არ იყოს, ნაადრევი და თანაც მკაცრი დასკვნა გამოგვიტანია, მაგრამ ამას თავის საფუძველი აქვს.

ბესო ტლაშაძე დიდსა და პატარაში, უწინარესად, თავისი სოფლის, ხიდისთავის დიდ მოსახლეობას გულისხმობს, რომელიც 365 კომლისა და 1105 კოლწევრისაგან შედგება. მაგრამ რა გამოვიდა, ამდენი ხალხიდან კოლმეურნეობაში მხოლოდ 197 კაცი მუშაობს. ახლა აღარ იკითხავთ, როგორ მუშაობენ? 1 სექტემბერს № 3 ბრიგადიდან სამუშაოდ გამოსული იყო მხოლოდ 3 კაცი. სიის მიხედვით კი ბრიგადაში 53 კოლწევრია გაერთიანებული. ამავე დღეს დანარჩენი ხუთი ბრიგადიდან 6-12 კაცი მუშაობდა.

— სად არიან დანარჩენები, — ვკითხეთ № 2 ბრიგადის ხელმძღვანელს ი. გიუაშვილს, — რომლის ბრიგადაში სულ 6 პენსიონერი მუშაობდა.

— 2 კაცი, სიძე-სიმამრი სახლს აშენებს, 2 კაცი სასაფლაოზე მეზობელს მესრის გაკეთებაში ეხმარება, — ბრიგადირმა ასე კიდევ 5 კაცს მოუნახა გაცდენის არასაპატიო მიზეზები, მაგრამ დანარჩენ 50 თავის ხელქვეითზე აღარაფერი თქვა, რადგან ისინიც, თურმე, საერთოდ, მუშაობით თავს არ იწუხებენ.

ამ დღეს მათ შორის, ვინც ბაღ-ვენახსა და მინდორში მოსავალს აბინავებდა, მხოლოდ 4-5 იყო ახალგაზრდა, არა და, კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციაში 70 ახალგაზრდა ირიცხება, მაგრამ მათი უმრავლესობის ასავალ-დასავალიც კი არ იცის კომკავშირის ბიუროს მდივანმა ვ. კუსრაევმა.

რახან მუშახელზე ჩამოვარდა საუბარი, ბარემ ისიც უნდა ითქვას, რომ 725 ხიდისთაველი კოლმეურნე გარე სამუშაოზეა, ესე იგი ქალაქ გორის საწარმო-დაწესებულებებშია გაბნეული და ნაკლებად აწუხებთ ტლაშაძის გულისტკივილი. კერძოდ, ის, რომ კოლმეურნეობაში შუა აზიიდან და დონეცკიდან ჩამოჰყავთ ხალხი ბოსტნეულის მოსაყვანად, მაგრამ საკმეს მაინც არაფერი შველის.

დიახ, ეგრეთ წოდებულმა საშოვრის მაძიებლებმაც ვერ გაუმართლეს კოლმეურნეობას. ხახვის ნაკვეთი, რომლის თითოეული ჰექტარის დამუშავებაში 700 მანეთს უხდიდნენ დონეცკიდან ჩამოყვანილ ბრიგადას, გაბალახებულია და ბქედან უხე მოსავალს არ ელიან.

უხვი მოსავალი კი არა, ხახვის ზოგიერთი ნათესი აწ გადამხმარ სარეველებს ისე დაუჩაგრავთ, რომ ძალიანაც რომ ეცადო, ნაყოფს ვერ იპოვი. ალბათ ამის გამო იყო, ერთ-ერთ ასეთ ნაკვეთს ხელადებით გამოუტანა განაჩენი მთავარმა აგრონომმა ჯ. აკოლაშვილმა.

— ამაზე ხომ კარგა ხანია ხელი ჩავიქნიეთ, — გვითხრა დაბეჯიდგბით.

ცოტა მოგვიანებით გავიგეთ, რომ ამგვარი ხელის ჩაქნევის პრაქტიკა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობაში საკმაოდ მიღებული ყოფილა. ამაში დავიწყმუნდით მაშინ, როცა თავმჯდომარესთან, მ. ფირანიშვილთან ერთად ბაღ-ვენახებს ვათვალიერებდით.

— აქ რა გითესიათ, — შეეკითხეთ თავმჯდომარეს, როცა ბალახბულახით დაფარულ საკმაოდ მოზრდილ მინდორს ჩავუარეთ.

— არაფერი, — ცოტა არ იყოს, ნირწამხდარმა გვიპასუხა ჩვენმა მეგზურმა.

ამ მინდორმა რატომღაც ზემოხსენებული ხახვის ნაკვეთი გაგვახსენა და...

ვარაუდიც სწორი გამოდგა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ჭარხალი უთესიათ.

— რა ვქნათ, ვერ მოვერიეთ და ხელიც ჩავიქნიეთ, — სცადა ჩვენი გაოცების გაქარწყლება თავმჯდომარემ.

მოდი და ამის შემდეგ, მართლაც ნუ გაოცდები ხელმძღვანელის ამგვარი უყაირათობით. თანაც იმ დროს, როცა დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცების საკითხი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია.

უყაირათობის დაღი აზის ყველა სამეს. მაგრამ ის უფრო თვალს ხვდება საკვებმოპოვების ფრონტზე. ბაღ-ვენახებსა და მინდვრებს გაუთბავი, გადამხმარი ბალახი „ახრჩობს“, მოუგროვებელი თივა და ნამჯა წვიმაში ლპება ან მზეზე იწვის, კოლმეურნეობას კი უხეში საკვების დამზადების გეგმები არ შეუსრულებია.

იმ დღეს ამგვარი ელემენტარული პასუხისმგებლობის დეფიციტის დამადასტურებელი სხვა ფაქტების მოწმენიც გავზდით.

დღის ბოლოს გავუზიარეთ თავმჯდომარეს კოლმეურნეობაში მიღებული შთაბეჭდილებები და საგანგებოდ ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, რომ ბრიგადებში არავინ იცოდა გამომუშავების ნორმები. ეს დაუჯერებელიაო, განაცხადა ჩვენმა მასპინძელმა.

საჭირო გახდა მასთან ერთად დავბრუნებულიყავით ბრიგადებში, რათა სადავო საკითხისათვის ნათელი მოგვეფინა.

— რამდენი კილოგრამი ვაშლი უნდა მოკრიფოთ, რომ გამომუშავების ნორმა შეასრულოთ? — ვეკითხებით მოწინავე კოლმეურნეს ს. კაზარიანს.

თავმჯდომარე ჩვენთან ერთად ამოოდ ელოდა სწორ პასუხს; ბრიგადირიც მოიშველია, მაგრამ იძულებული გახდა კითხვაზე თვითონ გაეცა პასუხი.

ასეთ ვითარებაში ძნელია კოლმეურნემ დაინახოს ან იგრძნოს პირდაპირი კავშირი იმს შორის, რაც გააკეთა და რაც მის საფასურად მიიღო. ამ სიტუაციაში ლაპარაკიც ზედმეტია გამომუშავების ნორმების გადამეტებით შესრულებაზე, სოციალისტურ შეჯიბრებაზე.

რაც შეეხება „სოციალისტური შეჯიბრების, მის როლს წარმოების ეფექტიანობის და გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, ამაზეც გამგეობის თავმჯდომარეს თავისი ორიგინალური მოსაზრება აქვს, კერძოდ, მეხილეთა შრომითი მეტოქეობის წინააღმდეგია, იმ მოტივით, რომ ერთმანეთის გასწრებაში ხილს დაბეჭავენო.

შეჯიბრებას არც ფერმაში სცემენ პატივს, აქაც არავინ უწყის, თუ ვინ ვის სჯობნის. მაგალითად, მწველავებმა ე. ქერდოყოშვილმა და პ. პეტროსიანმა არ იცოდნენ, თუ შარშან თითოეულ ფურზე რამდენი რძე მიიღეს და წლეულს როგორია მათი ამოცანა.

ფერმაში ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხსაც ყურადღება არ ექცევა, ამას ისიც მოწმობს, რომ წლეულს 8 თვეში აქ იძულებით 154 პირუტყვი დაკლეს(!) საეჭვოკია ამდენი „იძულება“.

ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას ჩვენც შევესწარით. ოღონდ ხბო უკვე გატყავებული და წასაღებად იყო გამზადებული. დაკვლის მიზეზად თავმჯდომარემ ავადმყოფობა დაასახელა. ხოლო როცა ჭკითხეთ, დაავადებული პირუტყვის ხორცი სარძევე ოთახში რატომ ინახებოდაო, მხრები აიჩჩა.

მხრების აჩეჩვა იოლი საქმეა. როგორც ჩანს, ხიდისთავის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებისათვის უფრო რთულია ისწავლონ, როგორ მოჰკიდონ ხელი საქმეს, როგორ დააღწიონ თავი ზარალს, რომელმაც შარშან 55.911 მანეთი შეადგინა.

წლევანდელი 8 თვის შედეგები კი იმაზე მეტყველებს, რომ აქ ეფექტიანობისაკენ შემობრუნებას არ ცდილობენ. გეგმები კვლავ შეუსრულებელი რჩებიათ. 8 თვეში ხიდისთაველებმა სახელმწიფოს 780 ცენტნერი რძე და 10.357 ცენტნერი ხორცი დააკლეს. ჰექტარზე საშუალოდ საგეგმო 28 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 5 ცენტნერი ხორბალი მიიღეს, ხოლო ქვავი იმდენივ ვერ მოიყვანეს, რამდენიც დათესეს. ეს უდავოდ, ცუდი მუშაობის, უნიათობისა და უპასუხისმგებლობის შედეგია, რაც თავის მხრივ უშუალოდ და გარდაუვალად გავლენას ახდენს კოლმეურნეთა მატერიალურ ანაზღაურებაზეც. ამიტომ არის, რომ თითოეული მათგანის თვიური საშუალო ხელფასი 67 მანეთს არ აღემატება. ეს კი რაიონის კოლმეურნეობების შესაბამის მაჩვენებლებზე გაცილებით ნაკლებია. უდავოა, უფრო მეტის მისაღებად უფრო მეტი შრომა და მეტი აქტიურობა მართებთ ხიდისთაველებს, მაგრამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობაც ვალდებულია ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები შეუქმნას მათ, რომლებიც შეგნებულ, ნაყოფიერ შრომას წაახალისებდა.

ყოველივე ეს მეტ-ნაკლებად ცნობილია კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციისათვის, კრებებზეც ხშირად დაუყენებიათ დისციპლინის განმტკიცების საკითხი, ტყვიაევეთა თაოსნობას სოფლის ყრილობაც კი მიუძღვნეს, მაგრამ ცარიელი ლაპარაკით საქმე ადგილიდან ვერ დაძრეს.

ავიღოთ, მაგალითად, სამუშაოზე გამოცხადება. პარტიულ კრებებზე კომუნისტებმა არაერთხელ დაგმეს 11-12 საათზე მუშაობის დაწყების პრაქტიკა, მაგრამ კოლმეურნეები კვლავ შუადღით გადიან სამუშაოდ.

ბევრი ამას ოჯახური საქმეებით ამართლებს, ზოგი კი მაღაზიას აბრალებს, რომელიც ხშირად დაკეტილია და დილის საათებში პურს ვერ ყიდულობენ.

ერთი სიტყვით, ხიდისთავის კოლმეურნეობაში ელემენტარული პასუხისმგებლობის დეფიციტს ათასი მიზეზი აქვს და მათ ღრმა ანალიზსა და აღმოფხვრაში აქაურებს დროულად უნდა დაეხმარონ პარტიის რაიკომი და აგროსამრეწველო გაერთიანება.

ვ. ქასრაძე,
გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი

ანგარიშგების უტყუარობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილ დადგენილებაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის თაობაზე გათვალისწინებულია კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის სრულყოფის, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დაჩქარების ღონისძიებათა კომპლექსი. მათ შორის, უპირველესად, აღსანიშნავია ის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგიდან სამშენებლო ორგანიზაციებს ხუთწლიანი და წლიური გეგმების მაჩვენებელთა სისტემაში შემკვეთების მიხედვით უმტკიცდებათ ახალი საგეგმო მაჩვენებელი — სპეციალური და საკუთარი ძალებით შესასრულებელი სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციათა მოცულობანი.

ქვეყნის მოწინავე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის შედეგები მოწმობს, რომ „კაპიტალურ მშენებლობაში ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციის მოცულობის შემოღებამ, აგრეთვე მოიჯარეთა და შემკვეთთა შორის ანგარიშსწორების ახალი წესის დანერგვამ დიდად შეუწყო ხელი საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დაჩქარებას და კაპიტალდაბანდებათა ლიმიტების ათვისებას.

მაგრამ სტატისტიკური ანგარიშგებათა ანალიზი იმასაც ცხადყოფს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების, აგრეთვე. ზოგიერთი სხვა სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობა კაპიტალური მშენებლობის დარგში 1981-1982 წლებში და 1983 წლის პირველ ნახევარში მაინც და მაინც არ გაუმჯობესებულა.

მივმართოთ ფაქტებს: 1980 წელს რესპუბლიკაში კაპიტალდაბანდების ლიმიტის 2,8 პროცენტი დარჩა აუთვისებელი, 1981-1982 წლებში ამ მაჩვენებელმა 3 პროცენტი შეადგინა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა კაპიტალდაბანდების აუთვისებელმა ლიმიტმა 1980 წელს 18.776 ათასი მანეთი, 1981 წელს 34.804 ათასი. ხოლო 1982 წელს — 21.755 ათასი მანეთი შეადგინა. უარესი მდგომარეობაა საწარმოო დანიშნულების კაპიტალდაბანდებათა ლიმიტის ათვისების მხრივაც.

დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკაში 1980 წლის შემდგომ პერიოდში გაუარესდა მშენებლობის საშუალო ხანგრძლივობის დავალებათა შესრულება. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, მაგალითად, ობიექტის მშენებლობის საშუალო ვადა 1981 წლის გეგმით იყო 3.1 წელი, ფაქტობრივმა შესრულებამ კი 4,8 წელი შეადგინა. 1982 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუარესდა — 3 წლის ნაცვლად ამ დროს 6,9 წელი შეადგინა.

მეტნაკლებად ასეთი მდგომარეობაა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც. განა რაიმე გასამართლებელი სბუთები შეიძლება გააჩნდეთ მგეგმავ და მშენებელ ორგანიზაციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის, სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის, ზუგდიდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოსა და ასობით სხვა ობიექტის მშენებლობის გაჭიანურებისათვის. ზემოხსენებული ბიბლიოთეკა 10 წელზე მეტია რაც შენდება და დღესაც არავინ იცის, როდის დამთავრდება იგი. რაც შეეხება ზუგდიდის საწარმოს მშენებლობას, იგი 1977 წელს დაიწყო. პირველდაწყებითი სატიტული სიის მიხედვით ობიექტი 1979 წელს უნდა ამოქმედებულიყო, ხოლო შემდეგ რამდენჯერმე კორექტირებული გეგმით — 1983 წლის მაისში.

შეუწყნარებელია ისიც, რომ სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციის მოცულობის გეგმა, დღიდან ამ მაჩვენებლის შემოღებისა, არ შესრულებულა. მაგალითად, 1981 წელს აღნიშნული გეგმის დაახლოებით 9 პროცენტი, ხოლო 1982 წელს — 9,6 პროცენტი არ შესრულებულა. მარტო ამ ორი წლის განმავლობაში მშენებლებმა სახელმწიფოს დააკლეს 273.251 ათასი მანეთის სამშენებლო-სასაქონლო პროდუქცია. მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა 1982 წელს, 1981 წელთან შედარებით, გააუარესეს მუშაობა. პირველმა გეგმის შესრულებას დააკლო 24.047 ათასი, ხოლო მეორემ — 66.860 ათასი მანეთის სამშენებლო-სასაქონლო პროდუქცია.

ჩვენი აზრით, სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციის გეგმების შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები, მათი ხელმძღვანელები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის ივლისის დადგენილების შესაბამისად მუშაობისათვის ფსიქოლოგიურად ჯერ კიდევ ვერ განეწყვნენ — ვერ ელევიანთ ძველ მეთოდებს, თავიანთ საქმიანობას აფასებენ არა სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციის გეგმის, არამედ კვლავ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულების მიხედვით.

უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში ობიექტთა ამოქმედებას, როგორც წესი მეოთხე კვარტალისათვის ითვალისწინებენ. რესპუბლიკის სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა 1982 წლის სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციის გეგმაში გათვალისწინებული იყო პირველ კვარტალში წლიური გეგმის მხოლოდ 6.6 პროცენტი, მეორე კვარტალში — 14,6 პროცენტი, მესამეში — 24,3 პროცენტი, ხოლო მეოთხეში — 54,6 პროცენტი.

სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტების, სამმართველოებისა და სახლთსაშენებელი კომბინატების ხელმძღვანელთა უმრავლესობამ, სამწუხაროდ, დღესაც არ იცის სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციის მოცულობაში რა სახეობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეიტანოს, როგორ დაგეგმოს სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციის მოცულობა, როგორ გათვალისწინოს წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით მომხდარი ობიექტური ცვლილებები სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციის მაჩვენებელში.

სწორედ ამან განაპირობა უმთავრესად ის, რომ ბევრგან რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობა ფინანსურ „მარწუხებში“ მოექცა. შარშან, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კრედიტების მოცულობამ, რომლებიც სსრ კავშირის მშენბანკის რესპუბლიკურმა კანტორამ მისცა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს დაუმთავრებელ მშენებლობათა ხარჯების დასაფარავად, რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი შეადგინა. ეს 1980 წელთან შედარებით სამჯერ და უფრო მეტიც გახლავთ. მთელ რიგ სამშენებლო ორგანიზაციებს წლის მეოთხე კვარტალის დამლევისათვის ბანკის იმდენი ვალი აქვთ, რამდენსაც თითქმის მათი წლიური საწარმოო პროგრამა ითვალისწინებს. 1983 წლის 1 ივნისისათვის რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მარტო 16 სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის ბანკის ვალმა 20039 ათასი მანეთი შეადგინა. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და სხვა უწყებათა სამშენებლო ორგანიზაციებშია.

კაპიტალური მშენებლობის პრაქტიკაში ყველაზე უფრო შეუწყნარებელია სახელმწიფო საანგარიშგებო დისციპლინის მოშლილობა. სტატისტიკურ ანგარიშგებებში კვლავაც გრძელდება დაუმთავრებელი საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების დამთავრებულად ჩვენება. სახელმწიფო გეგმების შესრულების აღრიცხვის ასეთი პრაქტიკა დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს სახელმწიფოს და არ იძლევა კაპიტალური მშენებლობის მონაწილეთა საქმიანობის რეალურად შეფასების შესაძლებლობას. ამიტომაც იგი როგორც ადმინისტრირების გაძლიერებით, ისევე ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფით უნდა აღმოიფხვრას.

ეს დასაჩქარებელია იმიტომ, რომ სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციის მაჩვენებელი ამ დარგის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა კაპიტალური მშენებლობის ხარისხზე და საერთოდ მთელ მის ინვესტიციურ პროცესზე უყარყოფითად მოქმედ ეკონომიკურ მექანიზმად გადააქციეს. არადა, ეს პირიქით უნდა მომხდარიყო. ამ მაჩვენებლის არსში გაუგებარი არაფერია. თვით სამშენებლო პროდუქციის მოცულობა — „სასაქონლო“ მოგვანიშნებს იმაზე, რომ მოიჯარე ყიდის დამთავრებულ ობიექტში განსახიერებულ თავის შრომის შედეგს და ყიდულობს მას შემკვეთი.

სტატისტიკურ ანგარიშგებებში მარტო ძირითადი ფონდების ამოქმედების ჩვენება, ბუნებრივია, არ ასახავს რეალიზაციის მთავარ მომენტს — ახალშექმნილი სახმარი ღირებულების ანაზღაურებას. მშენებლობის ღირებულების ანაზღაურება რომ სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულების ანგარიშგებაში შეტანას უსწრებდეს, ან დროში ემთხვეოდეს, მაშინ სამშენებლო-სასაქონლო პროდუქციის მაჩვენებელი შესაბამისობაში იქნებოდა თავის ეკონომიკურ შინაარსთან და იგი მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეძლებდა კეთილსასურველი გავლენა მოეხდინა კაპიტალური მშენებლობის მაღალხარისხოვნად და ნაკლები დანახარჯებით წარმართვაზე.

არ უწევენ რა ანგარიშს ამ გარემოებას, სახელმწიფო მიმღები კომისიები, მოიჯარე და შემკვეთ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ხშირად დაუმთავრებელი, ჯერ კიდევ პროდუქციის გამოსაშვებად ან მომსახურების გასაწევად უვარგისი ობიექტების ამოქმედების თაობაზე აქტებს აფორმებენ და დაუმსახურებელ ზარზეიმს მართავენ. ასეთი საქმის ვითარების თვალსაჩინო მაგალითია სურამის უღელტეხილის საავტომობილო გვირაბი, რომელიც ამოქმედების შემდეგ მალე საექსპლოატაციოდ უვარგისი აღმოჩნდა. როგორც ვიცით, გვირაბი დახურულია და მისი მშენებლობა ახლაც გრძელდება.

მსგავსი შემთხვევების აღკვეთისათვის კანონმდებლობამ მშენბანკისა და სტატისტიკის ორგანოებს დიდი უფლებები მიანიჭა. მათ შეუძლიათ გაპროტესტონ დაუმთავრებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის თაობაზე სახელმწიფო მიმღებ კომისიათა მიერ შედგენილი აქტები, სტატისტიკური ანგარიშგებებიდან ამოიღონ არასწორად ნაჩვენები სამშენებლო სასაქონლო პროდუქციათა მოცულობანი. დააჯარიმონ შემკვეთნი და მოიჯარეები, გაიუქმონ ანგარიშსწორება. თუ ასეთი ოპერაცია მოხდა, ჩამოაწერონ მოიჯარეს არასწორად მიღებული თანხა და იგი შემკვეთის ანგარიშზე აღადგინონ. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო საანგარიშგებო დისციპლინა ითმეთ არ დგას სათანადო დონეზე, რომ ჩვენი რესპუბლიკის როგორც მშენბანკის დაწესებულებები, ასევე სტატისტიკის ორგანოები ჯეროვნად არ სარგებლობენ ამ უფლებებით.

ალბათ, საჭიროა როგორც მოიჯარის, შემკვეთის და სახელმწიფო მიმღები კომისიისადმი, ისე მშენბანკის დაწესებულებებისა და სტატისტიკის ორგანოებისადმიც გაიზარდოს მოთხოვნები.

ჩვენი აზრით, ყველაფერი ეს შექმნის საჭირო პირობებს, რათა მიუდგომლად შეფასდეს მშენებელთა შრომა. მაქსიმალურად დაჩქარდეს და მინიმუმამდე შემცირდეს დაუმთავრებელი მშენებლობა, სტაბილური გახდეს სამშენებლო ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობა და უტყუარი იყოს კაპიტალური მშენებლობის სტატისტიკური ანგარიშგება.

ალ. კუპუზიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არასამეწველო საწარმოთა ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ასოგბით ჰექტარი უჭირავს ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებს. განთიადიდან საღამომდე აქ ჩაის საკრეფი მანქანების გუგუნი ისმის. ყოველდღიურად ასი ტონა მწვანე ფოთოლს კრეფენ. ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში დიდი წვლილი შეაქვთ მოწინავე მეურნეობის მშრომელებს.

კარგად მუშაობს საბჭოთა მეურნეობის დამხმარე მეურნეობა. მას 90 ჰექტარი ნაყოფიერი მიწა უჭირავს. წლეულს განზრახული აქვთ ამ სავარგულებზე მოიწიონ 100 ტონა სიმინდი, 600 ტონა სილოსი და 120 ტონა მწვანე მასა.

**სურათებზე: ზუგდიდის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მექანიზატორის დიპლომის მიღების შემდეგ მადონა ლაშხია პირველად მიუჯდა ჩაის საკრეფი

ოქტომბერი
ფაქტები მოვლენები
საკლასო იუწყება

სსრ კავშირის საელჩოს ნოტა

ვაშინგტონი. სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩომ 5 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს უყურადღებას მიაპყრობს შემდეგს:

4 სექტემბერს დილის 9 საათსა და 50 წუთზე გათავხედებულ ხულიგანთა ბრბომ — 400-ზე მეტმა კაცმა —საკეტი მოაგლიჯა და შეამტვრია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის გლეჩკოვის მუდმივი წარმომადგენლის რეზიდენციის კარი, შეეჭრა რეზიდენციის ტერიტორიაზე და იქ ანტისაბჭოთა თარეში მოაწყო. ბანდიტები, რომლებსაც თან ჰქონდათ პლაკატები წარწერით „დახოცეთ რუსები", შეიარაღებული იყვნენ ბეისბოლის ტაფელებთან. ამის მოწმე პოლიციას, რომლის ამოცანაა ყველაფრის გარდა, უცხოეთის მესიათა თანამშრომლების უშიშროებისა და საკუთრების დაცვა, არავითარი ღონისძიება არ განუხორციელებია ამ თარეშის თავიდან აცილებისათვის, სანამ სსრ კავშირის საელჩომ სახელმწიფო დეპარტამენტს არ მიმართა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის რეზიდენციაზე ეს ბანდიტური თავდასხმა არის საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმისა და სახელმწიფოთა ურთიერთობის პრაქტიკის ალმაშფოთებელი დარღვევა, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება დიპლომატიური მისიებისა და წარმომადგენლობების, დიპლომატიური იმუნიტეტისა და პრივილეგიების ხელშეუხებლობას.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ეს ტერორისტული აქცია მოხდა უკვე მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის საელჩომ სახელმწიფო დეპარტამენტის წინაშე უფრო ადრე დასვა საკითხი განხორციელებინა დამატებითი ღონისძიებანი ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებების, მოქალაქეებისა და სსრ კავშირის საკუთრების უშიშროების უზრუნველყოფისათვის. გაჩაღებული ანტისაბჭოთა ისტერიის გამო. ამიტომ ადგილობრივ ხელისუფალთა და პოლიციის უმოქმედობა ამ შემთხვევაში არ შეიძლება შევაფასოთ სხვაგვარად, თუ არა ტერორისტული ელემენტების აშკარა წაქეზებად. ამას აგრეთვე მოწმობს ისიც, რომ ამ თავდასხმის არცერთი მონაწილე, ამერიკის კანონების მიუხედავად, დაპატიმრებული არ ყოფილა.

საელჩო მტკიცე პროტესტს უცხადებს სახელმწიფო დეპარტამენტს, მოითხოვს დასაჯონ ამ ვერაგული აქციის მონაწილენი და განახორციელონ, ბოლოს და ბოლოს, ამასთან არა სიტყვით, არამედ საქმით, ქმედითი ღონისძიებანი ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებების, მოქალაქეებისა და სსრ კავშირის საკუთრების უშიშროების უზრუნველყოფისათვის, საელჩო უფლებას იტოვებს სახელმწიფო დეპარტამენტს მოსთხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც სსრ კავშირს საკუთრებას მოუვიდა აღნიშნული თავდასხმის შედეგად.

ვის აძლევს ხელს ცილისმწამებლური კამპანია

ჩეხოსლოვაკიის გაზეთის კომენტარი

პრაღა. შორეულ აღმოსავლეთში მომხდარი ამბავი — ხამხრეთ კორეის თვითმფრინავის გაჭრობა ვაშინგტონმა თვალში ხაცემი აჩქარებით გამოიყენა უმაგალითო მასშტაბის ანტისაბჭოური და ანტიკომუნისტური კამპანიის გასაჩაღებლად, წერს კომენტარში ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო".

ამერიკის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, ნათქვამია კომენტარში, არ დაიყოვნეს გამოსულიყვნენ განცხადებებითა და მუქარით, რომლებიც აღსავსეა ყოვლად უხეში, უსაფუძვლო გამოხდომებითა და ბრალდებებით საბჭოთა კავშირის მიმართ. ამ კამპანიას სათავეში ჩაუდგა თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რეგანი. მისთვის ჩვეული თეატრალური ჟესტით რეგანმა შეწყვიტა თავისი შვებულება კალიფორნიაში, რათა პირადად უხელმძღვანელოს აქციებს, რომლებიც, არსებითად „ცივი ომის" აღორძინებას ისახავენ მიზნად.

თუმცა თეთრი სახლის თავკაცს ამერიკის სპეცსამსახურებმა. უდავოდ მოახსენეს მოვლენათა ნამდვილი ვითარება, მაგრამ იგი მაინც არ მოერიდა გამოსულიყო ცილისმწამებლური განცხადებებით, რომლებიც ჩირქს სცხებენ საბჭოთა კავშირის სახელს, ამახინჯებენ მის საგარეო პოლიტიკას.

ამასთან დაკავშირებით ძნელი მისახვედრია, განაგრძობს გაზეთი, რატომ არის, რომ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო ასეთი ხალისით ჩაება ანტისაბჭოურ კამპანიაში და იმაზეც კი არ უფიქრია, რომ თავად შეეგრავებინა ინფორმაცია ამ მოვლენაზე. შეერთებული შტატების მიერ გაჩაღებული ცილისმწამებლური კამპანია ლახავს მის ინტერესებსაც, ვინაიდან კამპანიის ორგანიზატორები (ალბათ კიდევ უფრო მეტად გააკვირვნ საერთაშორისო კლიმატი, ჩაახშონ ან გააჭიანურონ საერთაშორისო მოლაპარაკება, შექმნან ისეთი პირობები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს შესაძლებლობას მისცემს შედარებით იოლად დაადგას დასავლეთ ევროპას ახალი დამსწრები დარტყმის ამერიკული რაკეტების ბირთვული უღელი.

თუ გაანალიზებს დღეადღეობით ცნობილ ფაქტებს, ყოველივე ეს ნაგებობა ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმითა და ფუნქციური დანიშნულებით, მათზე მოქმედი დატვირთვებისა თუ სხვა ზემოქმედებათა ხასიათით. ამ ნაშრომთა უმეტესობა პრაქტიკაშია დანერგული დიდი ეკონომიკური ეფექტით — აი სიკეთე მეცნიერისა და ინჟინრის საქმიანობის შერწყმისა, თეორიის და პრაქტიკის ერთიანობისა. და შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ სწორედ ა. ლოსაბერიძეს დაავალა მიწისქვეშა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გაანგარიშების მეთოდების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის საკითხების დამუშავება და გაშუქება, რასაც მან ვრცელი ორტომეული მიუძღვნა. ამ საბჭოს სესიაზე ბუქარესტში 1967 წელს იგი მთავარი მომხსენებელი იყო.

...ჩვენი ნახაჯით შემოდის აუდიტორიაში წარმოსადგები, მომდიმარი, კეთილმოსურნე, ხელში გაწყვეული ყავისფერი პორტფელით. იწყება ლექცია — ფაქტები, თეორია, ექსპერიმენტი, ანალიზი, ზუსტი, ლაკონიური მსჯელობა, მოულოდნელი შედარებები...

— წარმოიდგინეთ, რომ ქარი ზურგში გცემთ, თქვენ კი ფეხი ფეხზე გაქვთ მიდგმული და ადგილზე მხოლოდ საკუთარი წონა გამაგრებთ. აი, ასე თქვენ გრავიტაციული კაშხალის მუშაობის ხასიათს განასახიერებთ. გადადგით ნახევარ წონ — უკვე კონტრფორსული კაშხალის მოდელს წარმოადგენთ და წინააღმდეგობა ქარის მოქმედებისადმი საგრძნობლად გაიზრდება. ახლა თუ ოდნავ წინ გადაიწევთ და რკალისებრ მოხრილი მკლავებით რიმეს მიეჯინებთან, ქარის ნებისმიერ დაწოლას არაფრად ჩაგდებთ. აი, ეს გახლავთ თაღოვანი კაშხალის მუშაობის მოდელიც.

მეცნიერის განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო მაღლივი თაღოვანი კაშხალი. სწორედ ამ ნაგებობას აკუთვნებდა ძირითად როლს დიდი მარეგულირებელი წყალსაცავების შექმნაში საქართველოს მდინარეთა მრავალსაფეხუროვანი კასკადების დამუშავებისას. მასში სტუდენტებმა ზეპირად ვიცოდით მსოფლიოს რამდენიმე ათეული უმნიშვნელოვანესი თაღოვანი კაშხალის პარამეტრები, მათი კონსტრუქციული თავისებურებანი. ლექციების დროს იმართებოდა მსჯელობა იმ პრობლემათა შესახებ, მდინარე ლაჯანურაზე საბჭოთა კავშირში პირველი თაღოვანი კაშხალის შენებლობისას რომ წამოიჭრებოდა. მისმა სამეცნიერო შრომებმა და პრაქტიკულმა საქმიანობამ ინტერესი გაუღვიძა სამშენებლო მექანიკის სპეციალისტებს თაღოვანი კაშხლის გაანგარიშებისადმი. ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სკოლის სპეციალისტებიც. საფუძველი ეყრებოდა ამ ნაგებობის გაანგარიშებისა და ექსპერიმენტული კვლევის ორიგინალურ მეთოდებს, რითაც რუსეთის მეცნიერები საბჭოთა კავშირში მოწინავე პოზიციებზე გავიდნენ. ა. ლოსაბერიძის წინადადებითა და უშუალო მეთვალყურეობით ჩაიწყვეს მშენებარე ლაჯანურის კაშხლის ტანში რთული საზომი აპარატურა, რადგან ამ კაშხალს მეცნიერი ბუნებრივ, რეალურად მომუშავე მოდელადაც თვლიდა საქართველოს ჰიდროტექნიკოსთა დიდი ხნის ოცნების — ენგურჰესის უნიკალური თაღოვანი კაშხალის განხორციელებისათვის.

ა. ლოსაბერიძეს მეორე დიდი ოცნებაც ჰქონდა — პირველითა ალაზნის გადმოგდება საქართველოში, კახეთის სარწყავი სისტემის წყლით უზრუნველსაყოფად. ამას იგი დიდ პატრიოტულ, საშვილიშვილო საქმედ მიიჩნევდა. იმდენად მნიშვნელოვნად, რომ ხშირად უთქვამს: „ამ კაშხალის ასაგები მასალის თვითმფრინავებით მიტანაც კი ეკონომიკურად გამართლებული იქნებიო".

მისი სიცოცხლის უკანასკნელმა წლებმა ენგურჰესის არნახული, რეკორდულპარამეტრებიანი ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის დაგეგმარებისა და მშენებლობის ურთულესი საკითხების გადაწყვეტასა და დამუშავებაში გაიარა. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ამგვარი სულიერი და მატერიალური ღირებულების ძეგლი.

მ. ყურაბეშვილი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხამშენებლო მექანიკის კათედრის გამგე.

წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია

დეგოში საბჭოთა წარმომადგენლობის რეზიდენციის ტერიტორიაზე

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც ხულ უფრო მეტად ამძაფრებს ანტისაბჭოურ ისტერიას ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხაბჭოეთის მიმართ ბოროტი და ცილისმწამებლური განცხადებებიდან თავხედურ პროვოკაციებზე გადავიდა. 4 სექტემბერს ხელისუფალთა აშკარა წაქეზებით ხულიგანთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი შეეჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის რეზიდენციის ტერიტორიაზე გლენკოვში, ნიუ-იორკის მახლობლად.

თეთრი სახლისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებებით შეგულიანებულმა ანტისაბჭოელთა ბრბომ ქიმკარი შეამტვრია, მცველებს დაერია და საზიზღარი დებობი მოაწყო საბჭოთა ტერიტორიაზე. ამასთან წარმომადგენლობის რეზიდენციას მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა. პოლიცია აშკარად არ ჩქარობდა წრესგადასული ბანდიტების გაძევებას. ეს მხოლოდ მას შემდეგ მოიმოქმედეს, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ კატეგორიულად მოითხოვა გაეწმინდათ საბჭოთა რეზიდენციის სუვერენული ტერიტორია.

პროვოკაცია აშკარად წინასწარ ორგანიზებული და დაგეგმილი იყო. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ რეზიდენციის ჭიშკართან წინასწარ მოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ტელევიზიის რეპორტიორთა ჯგუფი. დეგოში საბჭოთა რეზიდენციის ტერიტორიაზე გახდა ნაწილი რეიგანის მიერ გაჩაღებული უხეში ანტისაბჭოური კამპანიისა, რომლის მიზანი აშკარაა — ცილი დასწამოს სსრ კავშირს, მის მშვიდობიან საგარეო-პოლიტიკურ კურსს, გაამართლოს ამერიკის გამლეტავული შეიარაღების ესკალაციის პოლიტიკა, რასაც ბირთვული კატასტროფა შეიძლება მოჰყვეს, ჩამოაშოროს საზოგადოებრიობის ყურადღება იმ ბინძურ დანაშაულობებს, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი რომ სჩადის ცენტრალურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთში.

პოლიცია მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ

მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ მკაცრი რეპრესიების ტალღამ მოიცვა ამერიკის შეერთებული შტატები. ხელისუფლები აპატიმრებენ და უსწორდებიან ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობის აქტივისტებს. საპოლიციო დილევებში აღმოჩნდა ომის საწინააღმდეგო გამოსვლათა ათობით მონაწილე.

სურათზე, რომელიც გაზეთ „ფინგერ ლაიქსს ტაიმსში" დაიბეჭდა, აღბეჭდილია, თუ როგორ უსწორდებიან პოლიციელები ქალაქ რომიულესში (ნიუ-იორკის შტატი) გამართული დემონსტრაციის მონაწილეებს. ეს ქალაქი მდებარეობს სენეკის სამხედრო ბაზის მახლობლად, სადაც ინახავენ საშუალო სიშორის იმ ამერიკული ბირთვული რაკეტების კომპონენტებს, რომელთა განლაგებასაც დასავლეთ ევროპაში ვაშინგტონი მიმდინარე წლის დამლევს აპირებს.

ეროკლეო
ტელეტაიპის ლოგოტიპი

საშემოდგომო ბაზრობაზე

● ლაიფციგი. მაღალმწარმოებლური ჩარხები და მხატვრული რეწვის ნაწარმი, ხაბავშვო ხათამაშოები და უახლესი ელექტრონული საკონტროლო-ხაზომი აპარატურა — ასეთია ამ მომდინარე საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობაზე ხაბჭოთა პავილიონის ექსპონატების დიაპაზონი. ისინი მოწმობენ სსრ კავშირის თვალსაჩინო მიღწევებს ხახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ხკკ XXVI ყრილობაზე დასახული მასშტაბური ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის ქმედითობას.

მშრომელთა ყრილობა

● ბლეკბერნი. აქ გაიხსნა ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესის 115-ე ყოველწლიური ყრილობა. ხუთი დღის მანძილზე 11 მილიონი ინგლისელი მშრომელის წარმომადგენელი დელეგატები განიხილავენ ქვეყნის ხაშინაო და ხაგარეო პოლიტიკის ხაკითხებს, დასახავენ მუშაობა კლასის ინტერესებისათვის პროფკავშირების ბრძოლის ხეგმებს.

ახალი ორიენტირები

ლაიფციგი. ხაბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ ინტერნაციონალიზმი ხორციელდება. ეს განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა, როცა ეწვია ლაიფციგის საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონს.

სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ამასწინანდელი ოფიციალური მეგობრული ვიზიტის დროს, ხაზგასმით აღნიშნა მან, შეიძლება ითქვას, დაიწყო ჩვენი თანამშრომლობის ახალი ეტაპი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ი. ვ. ანდროპოვთან მოლაპარაკების დროს დაისახა ახალი ორიენტირები 2000 წლის ჩათვლით ორი ქვეყნის თანამშრომლობის ყოვლისმომცველი განვითარებისათვის.

სწორედ საერთაშორისო შეხვედრების ადგილას — ლაიფციგში, თქვა შემდეგ ორატორმა, ამ დღეებში იგრძნობა, რომ სსრ კავშირის ახალ მშვიდობისმოყვარულ წინადადებებს ფართოდ ეხმაურებიან მთელ მსოფლიოში, ისინი დიდ შესაძლებლობებს სახავენ თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის საფუძველზე ჟენევაში მორიგების მისაღწევად. სსრ კავშირთან ერთად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გადაჭრით ეწინააღმდეგება კოფფრონტაციისა და გამალებული შეიარაღების იმპერიალისტურ კურსს, რომელსაც ახორციელებენ ნატო, და უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები.

ლაიფციგის საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობა კვლავ ადასტურებს, რომ მშვიდობიანი თანამშრომლობის, ეაჭრობის ყოველმხრივ განვითარების საფუძველზე შესაძლებელია ხელი შეეწყოთ მშვიდობის შენარჩუნებას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კიდევ უფრო მეზანსწრაფულად შეუწყობს ხელს სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებას, საბჭოთა კავშირთან მეგობრობის განმტკიცებას, სოციალისტური თანამეგობრობის ერთობლივი მიღწევების დაცვას, აღნიშნა ე. ჰონეკერმა.

ახალგაზრდები ოჯახს უნდა აშენებდნენ

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრში დემოგრაფიის პრობლემებზე მრავალი შეკითხვა შემოდის. მოსახლეობის ერთ ნაწილში გავრცელებულია აზრი, თითქოს ბოლო დროს ჩვენში საგრძნობლად შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. იმაზე, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ რესპუბლიკაში, ლაპარაკია ქვემოთ გამოქვეყნებულ წერილში.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების პირიდან მომხდარმა უდიდესმა სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა, რასაც თან ახლდა მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდა, დადებითი ცვლილებები გამოიწვია მოსახლეობის სტრუქტურაში, კეთილსაყოფილი გავლენა მოახდინა მისი განვითარების ტენდენციებზე. უწინარესად უნდა მივიხსენიოთ ის ფაქტი, რომ ძნიშვნელოვნად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა, გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, გაჭრა მრავალი დაავადება, ამაღლდა მოსახლეობის კულტურის დონე და სხვ.

კითხვებზე რომ პასუხი უფრო თვალნათელი გახდეს, მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი დაგვჭირდება და, სანამ მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე გავცემდეთ პასუხს, უმჯობესია მისი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორების — შობადობისა და სიკვდილიანობის საკითხებსაც შევეხოთ.

რევოლუციამდელი რუსეთისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის გამრავლების ექსტენსიური ტიპი — შობადობისა და სიკვდილიანობის მაღალი, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დაბალი მაჩვენებელი. ტიპური იყო ისეთი მრავალშვილიანი ოჯახები, სადაც იბადებოდა ათი-თორმეტი ბავშვი, მაგრამ მათი 43 პროცენტი ხუთ წლამდე ასაკისა იღუპებოდა, ხოლო სრულასაკოვნობამდე უფრო ნაკლები აღწევდა. დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო. რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებშიც საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში იღუპებოდა ათ წლამდე ასაკის ბავშვთა 29,3 პროცენტი, ხოლო ათ წლამდე— 33,6 პროცენტი, განსაკუთრებით მაღალი იყო სიკვდილიანობის მაჩვენებელი ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში. რევოლუციამდელ რუსეთში 1913 წელს ყოველი ათასი ბავშვიდან ერთ წლამდე ასაკში იღუპებოდა 273, ანუ ყოველი მეოთხე ბავშვი. ეს მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში ათჯერ და მეტადაც შემცირდა. ამასთან ცალკეული რესპუბლიკების მიხედვით იგი გათანაბრდა. მაგალითად, თუ 1940 წელს რუსეთის რესპუბლიკაში ყოველი 1000 ბავშვიდან იღუპებოდა 205, უკრაინაში — 164, საქართველოში მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეს ციფრი ყველაზე ნაკლები იყო — 66. უკვე 1960 წელს ეს მაჩვენებელი როგორც რუსეთის, ისე საქართველოს რესპუბლიკებში 36-ს უდრიდა, უკრაინაში კი უფრო ნაკლებს. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა საგრძნობლად შემცირდა 1940 წლის დონესთან შედარებით.

რაც შეეხება საერთოდ მოსახლეობის სიკვდილიანობის დონეს უკანასკნელ წლებში, იგი მართლაც გაიზარდა. ეს გამოწვეულია არა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით, არამედ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შეცვლით. მთელ მოსახლეობაში გაიზარდა უფროსი ასაკისა და შემცირდა ახალგაზრდების ხვედრითი წილი. სწორედ ამ მიზეზით ჩვენს ქვეყანაში 1960 წელს ყოველ ათას კაცზე გარდაცვლილთა რაოდენობა 7,1-ს უდრიდა, ხოლო 1982 წელს ამ მაჩვენებელმა იმატა.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაშიც. მაგალითად, თუ 1960 წელს სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი 6,5 პრომილეს შეადგენდა, ე. ი. ათას კაცზე 6,5 იღუპებოდა, 1982 წელს ეს მაჩვენებელი გადიდდა. ამ პერიოდში შეიცვალა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც. კერძოდ, 1959 წელს 15 წლამდე ასაკის ახალგაზრდები მთელ მოსახლეობაში 29,3 პროცენტი, ხოლო 1982 წელს უფრო ნაკლები იყო. 60 და მეტი წლისანი ამავე პერიოდში პროცენტულად თანდათან მატულობდა. ამრიგად, მთელ მოსახლეობაში გადიდდა უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წილი.

ეს პროცესი განსაკუთრებით ნათლად გამოიხატა რესპუბლიკის თითან და მთისწინა რაიონებში, სადაც დემოგრაფიული სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუარესდა, ამ რაიონებში განსაკუთრებით ინტენსიურია ახალგაზრდობის მიგრაცია, მცირდება შობადობა და მთელ მოსახლეობაში იზრდება ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი. ამის შეცნტს, საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი კი ორჯერ და უფრო დაბალია.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების (60 წლისა და უფროსი ასაკის ხვედრითი წილის ზრდა) შედეგად მცირდება შობადობა და იზრდება სიკვდილიანობა. კერძოდ, ამბროლაურის რაიონში მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით შობადობა 11,1, ხოლო ონის რაიონში 13,3 ბავშვს შეადგენს. რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელი კი 18 ბავშვს უდრის. ამ რაიონებში მაღალია სიკვდილიანობის დონე. კერძოდ, ამბროლაურის რაიონში ყოველ ათას კაცზე სიკვდილიანობა 19,5, ხოლო ონის რაიონში 17 კაცს შეადგენს. ე. ი. საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს შესაბამისად 2,4-2-ჯერ აღემატება. ყოველივე ამის შედეგად ამბროლაურისა და ონის რაიონებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება არ არის. ამბროლაურის რაიონის მოსახლეობას ყოველ ათას კაცზე წელიწადში აკლდება 8,4, ხოლო ონის რაიონის მოსახლეობას — 3,7 კაცი, რესპუბლიკაში კი ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით ბუნებრივი მატება 9,5 კაცს შეადგენს.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ჩვენს რესპუბლიკაში გაიზარდა სიკვდილიანობის საერთო კოეფიციენტი, რაც იმის შედეგია, რომ უკანასკნელ ორ ათწლეულში შემცირდა შობადობის დონე და მთელ მოსახლეობაში გადიდდა უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი. სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფში გაიზარდა სიკვდილიანობა, დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში იგი თითქმის უცვლელი დარჩა.

ცნობილია, რომ ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი წარმატებები მოიპოვა ხალხის კეთილდღეობის, შრომელთა კულტურული დონის ამაღლების, მათი ჯანმრთელობის დაცვის გაუჯობესების საქმეში. ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე რუსეთში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 32 წელს აღწევდა და თაობათა ნახევარი 18 წლის ასაკსაც ვერ აღწევდა. უკანასკნელ წლებში ეს მაჩვენებელი 70 წელს უდრის. ამჟამად თაობათა ნახევარზე მეტი საბჭოთა კავშირში 70-75 წლის ასაკში იღუპება.

ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი 25 წლია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 71-72 წელს უდრის. სოფლად ეს მაჩვენებელი ოდნავ მაღალია ქალაქთან შედარებით. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში დიდი განსხვავებაა (მთლიანად ქვეყანაში და საერთოდ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში) სქესის მიხედვით. ჩვენს რესპუბლიკაში მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 67, ქალებისა კი 75 წელს შეადგენს. ასეთი დიდი განსხვავება მრავალი ფაქტორით განისაზღვრება. საერთოდ ცნობილია, რომ ვაჟები მეტი იბადება, ვიდრე გოგონები (106 ვაჟი 100 გოგონაზე). მაგრამ ხაწი შესული ასაკის ადამიანთა შორის მამაკაცები უფრო მცირეა, ვიდრე ქალები. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მამაკაცთა სიკვდილიანობის პროცენტი მაღალია.

ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა განპირობებულია ბიოლოგიურადაც. ცხოველთა სამყაროშიც შემჩნეულია მდედრობითი სქესის ხანგრძლივი სიცოცხლე. მაგრამ მხოლოდ ამით არ შეიძლება აიხსნას მამაკაცთა სიცოცხლის მოკლე ხანგრძლივობა. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით მამრობითი სქესის წარმომადგენლები გაცილებით მეტი იღუპება, ვიდრე ქალები. ეს იმის შედეგიც არის, რომ მამაკაცთა შორის თამბაქოს მწეველი უფრო მეტია, ვიდრე ქალთა შორის. თამბაქოს წევა კი ხელს უწყობს გულის იშემიურ დაავადებათა განვითარებას, იწვევს სისხლძარღვების სპაზმს. ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებაც ასევე უმთავრესად მამაკაცებს ახასიათებთ. სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს წევა ერთად გამანადგურებელ გავლენას ახდენს ორგანიზმზე. ავადდება გულ-სისხლძარღვების სისტემა, ღვიძლი, სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოები. ეს მავნე ჩვეულები კი მკვეთრად გამოხატულია „ძლიერ სქესში", რაც ამოკლებს მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობას.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების ფაქტორია აგრეთვე ნერვული დაძაბულობა, ნაკლები ფიზიკური დატვირთვა და არარაციონალური კვება. როგორც ჩანს, ამ ფაქტორთა გავლენასაც მამაკაცები უფრო განიცდიან.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ფსიქიკური და ემოციური ფაქტორის გავლენა შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს და ეს მარტო ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს როდი ეხებათ. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც უნდა ვერიდოთ დაძაბულ ნერვულ-ფსიქიკური სიტუაციების შექმნას. დადასტურებულია, რომ რაც უფრო გამოხატულია ნერვული დაძაბულობა, გადაღლა, მით მაღალია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების პროცენტი.

ამჟამად რესპუბლიკაში სიკვდილიანობის მიზეზთა შორის მესამე ადგილზეა სასუნთქი გზებით დაავადებანი —სიკვდილიანობა ამ მიზეზით 8,7 პროცენტია. საჭმლის მომნელებელი ორგანოების დავადებათა შედეგად ასევე დიდი დაღუპულთა რაოდენობა — 4,3 პროცენტი.

მამაკაცებსა და ქალებს შორის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში განსხვავებას ისიც განაპირობებს, რომ ტრავმებისა და უბედურ შემთხვევათა გამო მამაკაცებს შორის სიკვდილიანობა უფრო დიდია, ვიდრე ქალებს შორის.

ჩვენს ქვეყანაში მიღწეული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დონე, რა თქმა უნდა, ზღვარი არ არის. დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობის შემდგომი გაუმჯობესება, სიკვდილიანობის შემცირება, გერონტოლოგიისა და გერიატრიის მიღწევები უეჭველად ხელს შეუწყობს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემდგომ ზრდას.

ა. თოთაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორი.

რჩეულთა ხვედრი

დიდ და კეთილშობილ საქმეს — გარდაცვლილ თანამოსაქმეთა ხსოვნის აღსანიშნავი დღის დაწესებას.

ამ მოღვაწეთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გახლავთ გამოჩენილი ქართველი ინჟინერი და მეცნიერი პროფესორი ალექსანდრე ლოსაბერიძე, კაცი, რომლის მოთავეობით თუ მონაწილეობით განხორციელდა საქართველოს თითქმის ყველა დიდი თუ პატარა ჰიდროტექნიკური ნაგებობის გაანგარიშება, დაგეგმარება და მშენებლობა.

ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო, როცა საქართველოს ჰიდროენერგეტიკის პიბმშოს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. აქ ქართული ჰიდროტექნიკური მშენებლობის პიონერების — ბესარიონ ჭიკოვანის, ალექსანდრე ჩიქოვანის და სხვათა ხელმძღვანელობით ჩამოუყალიბდა და გაუღვიძა სიყვარული არჩეული სპეციალობისადმი, რომელსაც იგი პირნათლად ემსახურა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. შემდეგ, როცა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროს ტექნიკოსად მუშაობდა, მისი მონაწილეობით დაგეგმარდა ზაჰესის კაშხალის ზენაგებობა, სათავე რაბი და სადაწნეო აუზი, რიონჰესის სათავე ნაგებ

„წიგნი ფიცისა“: კინორომანი ხალხის ბედზე

ᲛᲔᲝᲠᲔ დღეა საქართველოს დედაქალაქის კინოთეატრებში უჩვენებენ ახალი მხატვრული ფილმის „წიგნი ფიცისას“ პირველ ორ სერიას. ფილმი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მწერალ ა. სალუქვაძის სცენარის მიხედვით გადაიღო სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ. ხუთსერიანი კინოეპოპეა ეძღვნება რუსეთისა და საქართველოს კავშირისა და ურთიერთდახმარების პირველი ოფიციალური ხელშეკრულების — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

ქართველ კინემატოგრაფისტთა ახალი ნამუშევარი მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. პრემიერაზე დამსწრე საქინფორმის კორესპონდენტები მოწმენი გახდნენ ფილმის პირველი ორი სერიის აღტაცებული მიღების, იმ მხურვალე დაინტერესებისა, რომლითაც ორ საათზე მეტ ხანს მაყურებელი თვალყურს ადევნებს ეკრანზე მიმდინარე მოვლენებს.

გთავაზობთ მაყურებლების შთაბეჭდილებებს, რომლებიც ფილმის დემონსტრაციის დამთავრებისთანავე ჩავიწერეთ.

ᲗᲝᲗᲐᲛᲛᲐᲒᲐᲖᲐᲚᲗᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

„წიგნი ფიცისა“ ქართული კინოს უთუო გამარჯვებაა. უკვე პირველი ორი სერია გვაძლევს ასეთი განცხადების უფლებას. ეკრანზე ნაჩვენები ამბები გვავიწყებს ყველაფერს, ისეთი უჩვეულო მღელვარება გვიპყრობს, რომელიც ადამიანს მაშინ უჩნდება, როცა ვიხმობთ მისი სულის ყველაზე სათუთ სიმებს. ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის, მისი ხალხის ისტორია, რომელმაც მოვლენათა ქარცეცხლში საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლების სიყვარული... რაოდენ დამაჯერებლად და გამომხატველად შეძლეს გადმოეცათ ყოველივე ფილმის შემქმნელებს. მაყურებელს გულს ტკენს ტანჯვა და წამება, რომელიც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა უცხოელი დამპყრობლებისაგან, და ამავე დროს ეუფლება სიამაყის გრძნობა ხალხის ურყევი სულის, მისი ბრძნული ნაბიჯის გამო, რომელმაც სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს ბედი რუსეთს. საქართველოს რუსეთან დამოყვრებამ ფართო შესაძლებლობანი მოგვცა იმისათვის, რომ ურთიერთობა გვქონოდა მოწინავე რუსულ კულტურასთან, მის რევოლუციურ და დემოკრატიულ ტრადიციებთან, ცხოველმყოფელი გავლენა იქონია ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე. თავის მხრივ საქართველოსთან, მის კულტურულ გარემოსთან ურთიერთობა ხელს უწყობდა რუსი მწერლების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების შემოქმედებითს აყვავებას, უკარნახებდა მათ ახალ თემებს, ახალ პრობლემებს.

გაოცებს ისტორიული ფაქტების, დოკუმენტების სიუხვე, რომლებიც ასე ოსტატურად და მართლად წარმოუდგენეს მაყურებელს სცენარისტმა, რეჟისორმა და მსახიობებმა.

ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ყველაფერი, რაც კი წაგვიკითხავს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში, შეგვისწავლია, დღეს წარმოგვიდგა ეკრანული სახეებით. „წიგნი ფიცისა“ დიდი პატრიოტული ფილმია. და, რა თქმა უნდა, იგი მხატვრული დოკუმენტია, რომლის ნიხელდვით ჩემი თაობა შეძლებს [illegible] გაეცნოს მშობლიურ ისტორიას. სწორად შეაფასოს ისტორიული მნიშვნელობა გეორგიევსკის ტრაქტატის — ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ დიდმნიშვნელოვანი აქტისა, რომელმაც დაგვამყარა დიდ რუს ხალხთან, ჩვენს ერთგულ მეგობართან და ძმასთან.

როცა ფილმის პრემიერას ვესწრებოდით, მე და ჩემს თანაკურსელებს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს გვეამაყებოდა ჩვენი წინაპრების, ჩვენი სამშობლოს ისტორია, ხალხის მიერ გადადგმული ბრძნული ნაბიჯი. განსაკუთრებით გვესიამოვნა, რომ ფილმში მონაწილეობს ბევრი ახალგაზრდა — ჩვენი თანატოლი, და, ალბათ, მშობლიური მიწა-წყლის, მისი წარსულისა და აწმყოს სიყვარულმა ნაკლებად როდი შეუწყო ხელი იმას, რომ მათ შეექმნათ ჩვენგან ასწლეულებით დაშორებული ეპოქის გმირთა დამაჯერებელი სახეები. დარწმუნებული ვართ, რომ „წიგნი ფიცისა“ საპატიო ადგილს დაიკავებს საბჭოთა ახალგაზრდობის ისეთ საყვარელ ფილმებს შორის, როგორიც არის „ჯარისკაცის მამა“, „ახალგაზრდა გვარდია“, „მიფრინავენ წეროები“, „პეტრე პირველი“, „გიორგი საკაძე“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“...

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲘᲯᲘᲐ,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი.

1981 ᲬᲚᲘᲡ მოსკოვში გამართულ ერთ-ერთ სამხატვრო გამოფენაზე, სადაც მხარეთმცოდნეობს მუზეუმებში დაცული სურათები იყო წარმოდგენილი, ყურადღება მიიქცია კოლორატული ფერებით დახატულმა სამხრეთულ ტიპის გოგონას პორტრეტმა. ჟამოფენის კატალოგში როგორც ტილოს უკან შემონახული წარწერიდან ჩანს, აღნიშნულია, რომ სურათის ავტორია ნიკოლოზ აფხაზი, შესრულების წელია 1770, გამოსახული გოგონა კი 5 წლის თავადის ასული ანასტასია მიხეილის ასული დავიდოვაა. ამავე კატალოგიდან ირკვევა, რომ პორტრეტი შემოსულა რიბინსკის ისტორიულ-სამხატვრო მუზეუმში 1920 წელს ს. ვ. მიხალკოვის კოლექციიდან (იაროსლავლის გუბერნიის რიბინსკის მაზრა) და რესტავრირებულია ლ. ორგოროდნიკოვს მიერ.

ინტერესს იწვევდა როგორც პორტრეტი, ასევე ნიკოლოზ აფხაზის პიროვნება, რომლის შესახებ ბიოგრაფიულ მასალას ეს კატალოგი არ შეიცავს. ერთი რამ ცხადია: ნიკოლოზ აფხაზი ის მხატვარი უნდა იყოს, რომელიც აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს თბილისის ხელოვნების მუზეუმში დაცული რამდენიმე ხელმოუწერელი პორტრეტის შემქმნელად მიიჩნდა და თვლიდა, რომ მხატვარს რუსული ფერწერის სკოლა ჰქონდა გავლილი (იხ. ჟურნალი „აფსნი აყაზარა“ აფხაზურ ენაზე, 1982 წ., № 3, გვ. 16, გაზეთი „კომუნისტი“, 1982 წ., № 250). მაგრამ ნ. აფხაზის ცხოვრების ფაქტები ბურუსით იყო მოცული. ცნობილი იყო მხოლოდ რომ ნ. აფხაზი მეფე ერეკლე II-ის კარის მხატვარი იყო, მოხატული ჰქონდა ანანურის მთავარი ტაძრის კანკელი (იხ. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 440). ცნობების შესავსებად ჩვენ ისტორიულ ძიებას მივმართეთ და გამოვავლინეთ მხატვრის ცხოვრების არაერთი მომენტი.

ირკვევა რომ ნ. აფხაზი წარჩინებული გვარიდან არის. მხატვრის წინაპრები წარმოშობით უნდა ეკუთვნოდნენ აფხაზად ცნობილ იმ თავადურ გვარს, რომლებიც, ისტორიული მასალებით, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთიდან მოსულან.

XVIII საუკუნის II ნახევარში რუსეთ-საქართველოს შორის

ურთიერთობის გაცხოველების შემდეგ ქართველი ბატონიშვილების წაბაძვით ბევრი არისტოკრატული ოჯახიშვილი დაეწყო სწავლა-განათლებას მოსკოვსა და პეტერბურგში. მათ შორის იხსენიება ნიკოლოზ აფხაზიც (იხ. „პუშკინი საქართველოში“, კრებული წერილების და მასალებისა, თბ. 1938, გვ. 78). რუსეთში განსწავლული მხატვარი ერეკლე II-ს მოუწვევია და სამეფო კარის მხატვრად განუწესებია. 80-იან წლებში ნ. აფხაზს თბილისში საკუთრად ჰქონია ნაზარ ედიშერ როჭიკაშვილისაგან ნაყიდი სახლები. ამ სახლების შესახებ მეფე ერეკლე II-ის 1784 წლის ერთ-

ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲐᲤᲮᲐᲖᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲛᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ერთ განჩინებაში ნათქვამია, „რადგან აფხაზი ნიკოლოზ ჩვენგან დაბარებული იყო რუსეთიდან და ჩვენ მოვიყვანეთ, ამისთვის რომ ქვეყნისთვისაც და ეკლესიისთვისაც შესამატი იყო ამის მიზეზით ეს ნასყიდობა აღარ მოუშალეთ“. ამავე საბუთში ნ. აფხაზი მხატვრად არის ნახსენები: „ის სახლება... აფხაზს მხატვარს ნიკოლოზს მივეცით, რადგანაც ნასყიდი ჰქონდა და სამხატვრო ადგილიც იყო“ ნიკოლოზ აფხაზს საკუთარი ყმა-გლეხიც ჰყოლია, სოფელ ჩხიკვთაში დასახლებული (იხ. А. Хаханов Грузинские дворянские акты и родословные росписи 1893, გვ. 20-22). ერეკლე II-ის მეუღლის დავალებით ნ. აფხაზს მოუხატავს ანანურის ეკლესიის კანკელი. განუახლებია ანანურის ეკლესიის კედლებზე ძველად დახატული 13 ასურელ მამათა ხატნი.

ნ. აფხაზი განსაკუთრებით დაახლოებული ჩანს ერეკლე II-ის შვილის გიორგი XII-ის ოჯახთან. იგი მის კარზე რუსეთში წარგზავნილი ელჩის მოვალეობასაც ასრულებს, მისი მეუღლე სოფიო გურამიშვილი გიორგი XII-ის ნათლულია. შეფე გიორგი XII-ის საქორწინო დღეებშა დედოფალ მარიამს სიხარულად მიართვეს მხატვარ ნ. აფხაზის მიერ გაფორმებული სალოცავი წიგნი, რომელსაც ოქროს და ვერცხლის ვარაყით შესრულებული ნახატები ამშვენებდა. სოფიო გურამიშვილის თხოვნით 1800 წელს გიორგი XII-მ ნ. აფხაზს უწყალობა ძველი თბილისის ცენტრში, ანჩისხატის ქუჩაზე მდებარე სახაბაზო. 1831 წელს სოფიო გურამიშვილმა მიიღო ამ მიდამოებში სახლის აშენების უფლება.

ნიკოლოზსა და სოფიოს ჰყავდათ სამი ვაჟი. უფროსი — ივანე აფხაზი, თავისი დროის ცნობილი გენერალ-მაიორია (1784-1831 წწ.). მასთან საუბარი აღწერილი აქვს გრიგოლ ორბელიანს თავის თხზულებაში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“. თანადროულ ქართულ საზოგადოებაში ივ. აფხაზი იმდენად მიღებული და გავლენიანი ყოფილა, რომ 1832 წლის ცნობილი შეთქმულების წევრები მის მხედართმთავრად აირჩევას ვარაუდობდნენ. ძმებს შორის უმცროსი ანტონი (1806-1837 წწ.) ცნობილი ქართველი მოღვაწის სოლომონ დოდოფალის ხელისმომკიდე ყოფილა. პოდპორუჩიკად მყოფი ანტონი ხსენებულ შეთქმულებასთან დაკავშირებით დაატყვევეს 1832 წელს. ნიკოლოზ აფხაზის ვაჟი ეგორი (იგივე შანშე) ქართველ გრენადერთა შტაბსკაპიტანია. იგი მოკლეს 1826 წელს ლეკებთან ბრძოლაში.

ჯერჯერობით გაურკვეველია, რომელ წელს გარდაიცვალა თვით მხატვარი ნიკოლოზ აფხაზი. 1803 წელს იგი ხელს აწერს ერთ-ერთ საბუთს, ხოლო 1806 წელს შეეძინა უმცროსი შვილი ანტონი. ქართველ ისტორიკოსს პლ. იოსელიანს ივანე აფხაზისაგან სცოდნია, რომ მამამისი — ნიკოლოზ აფხაზი „მარხია საკათედროსა ეკლესიასა“ (თბილისის სიონში), აქედან ვიგებთ მხატვრის დასაფლავების ადგილს, მაგრამ გარდაცვალების წელს პლ. იოსელიანი არ ასახელებს (იხ. პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი XIII-ისა, თფ., 1897, გვ. 100). რაკი თვით ივანე აფხაზი 30-იანი წლების დამდეგს (1831 წ.) მიიცვალა, ნიკოლოზ აფხაზის გარდაცვალება დაახლოებით XIX საუკუნის 20-იან წლებში ან უფრო ადრე უნდა ვივარაუდოთ.

საინტერესოა, რომ სახლი, სადაც ნიკოლოზ აფხაზის ოჯახი ცხოვრობდა, დღესაც შემორჩენილია. 1841 წლის 8 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „ჩვენც ახლო სახლებში გადავედით, ანჩისხატის უბანში უწინ რომ აბაზი იდგა“. სახლის მფლობელი ანტონ აფხაზი ყოფილა. ეს სწორედ ის სახლია, რომლის აშენების უფლება 1831 წ. სოფიო გურამიშვილმა მიიღო. დღეს აქ გახსნილია ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი.

Თ. ᲒᲘᲪᲒᲐ,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲘ: მხატვარ ნ. აფხაზის მიერ შესრულებული ანასტასია მიხეილის ასული დავიდოვას პორტრეტი (1770 წ.).



ᲠᲣᲡᲘ და ქართველი ხალხების მეგობრობის პირველი მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის ქმედითად ემზადებიან საქართველოს მხატვრები. ამ მოვლენას ეძღვნება ფერწერული ტილოები, ქანდაკებები, გრაფიკული ნამუშევრები, გამოყენებითი ხელოვნების პროდუქცია.

ქუთაისში ოქტომბერში გაიხსნება დიდი გამოფენა „რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა“, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ახზე მეტი ნამუშევარი.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ჯავა ჭეიშვილმა დაამთავრა მუშაობა ფერწერულ ტილოებზე „ალექსანდრე გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“ და „ნინო ჭავჭავაძე“, მხატვარმა ვ. კაპანაძემ თავის ნამუშევარს უწოდა „პეტრე ბაგრატიონი“. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ვერნისაჟიანთ ემზადებიან აგრეთვე სხვა ქუთაისელი მხატვრები — ხ. ჩოგოვაძე, ა. აბესაძე, ა. ლელაძე და სხვები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ჯავა ჭეიშვილი თავის ხუროთმან „ალექსანდრე გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“, მისივე „ნინო ჭავჭავაძე“. ვ. კაპანაძის ფერწერული ტილო „პეტრე ბაგრატიონი“.

Გ. ᲒᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ კამსის აგრბას ოჯახში ქორწილისათვის ემზადებოდნენ. ის იყო, სოჯახო დღესასწაულზე მოსაწვეველის გაგზავნას აპირებდნენ, როცა მოულოდნელად სტუმრებმა მოაკითხეს. ესენი იყვნენ სოფლის უხუცესნი, შრომის ვეტერანები, ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული, მთელ სოფელში პატივცემული ადამიანები. გულითადად შეგება სტუმრებს მასპინძელი. მოხუცები სუფრას მიუსხდნენ და პირველებმა მიულოცეს მას შვილის გაბედნიერება. — ნუ გეწყინება, კამსის ჩემო,— დიხრად დაიწყო საუბარი უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ პლატონ კობახიამ, — მაგრამ ისე მგონია, რომ ბევრი სტუმარი არ მოგივა. უდროო დროს დაგინიშნავს ქორწილი. ახლა მთელი ხალხი ჩაშია. იქნებ, ცოტა ხანს მოგვეცადა!

მოიწონა ეს აზრი გამრჯე კამსის, რომელმაც კარგად იცის მიწათმოქმედის დროის ყადრი და გადაწყვიტა ვაჟის ქორწილი ჭირნახულის დაბინავების შემდეგ გადაეხადა.

...უხუცესთა საბჭოები აფხაზეთის სოფლებში დიდი ძალაა. მოსახლეობას შორის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მუშაობაში, წარსულის გადმონაშთების, მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლაში დღეგრძელთა გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენების მიზნით პარტიის გუდაუთის რაიკომმა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ 1979 წელს მიიღეს გადაწყვეტილება სასოფლო საბჭოებთან მათი ჩამოყალიბების შესახებ.

სოფელ ლიხნის უხუცესთა საბჭოში 13 პარტიის, შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანია. ეს გახლავთ 13 შრომითი და სიბრძოლო ბიოგრაფია. უხუცესები დღესაც სიბრძოლო მწყობრში არიან. ახალგაზრდების გვერდით შრომობენ ისინი ჩაის პლანტაციებსა და ბაღ-ვენახებში, სიმინდის ყანებსა და მეცხოველეობის ფერმებში.

— თუ თავისი არაფობის პირველ წლებში უხუცესთა საბჭო ძირითადად ცალკეულ პირებსა და ოჯახებს შორის კონფლიქტების მოგვარებით იყო დაკავებული, უკანასკნელ ხანს იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფლის სამეურნეო ცხოვრებაში,— თქვა პლატონ კობახიამ. — ახლა საბჭოს წევრების მთავარი საზრუნავია გამოუმუშაონ ახალგაზრდობას მიწის, შრომის სიყვარული, კოლმეურნეობის სიქმეებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, ბატონ-პატრონის გრძნობა. უხუცესთა საბჭო ყოველ ოჯახში ეუბნებიან, რათა სოფლად სანიმშო წესრიგი იყოს. მათ აფიქრებთ, რომ ჯერ კიდევ ყველა ახალგაზრდა არ არის ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ამიტომ ვეტერანები ხშირად დადიან კულტურის სახლში, სადაც ახალგაზრდობა იკრიბება, და ესაუბრებიან მათ. სოფლის უხუცესთა შეგონების შემდეგ დაიწყეს კოლმეურნეობაში მუშაობა ი. გუნბამ, ო. ზუხბამ, ვ. ჯარსალიამ და მრავალმა სხვამ. ახლა ი. გუნბა მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზატორია.

ილაპარაკა რა უხუცესთა საბჭოს, სოფლის სამეურნეო და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში მისი მონაწილეობის შესახებ, ლიხნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ჯარსალიამ თქვა:

— უხუცესთა საბჭოს წევრთა აზრი, მათი წინადადებანი და რჩევა-დარიგებანი დახმარებას უწევს აღმასკომს მუშაობაში. საბჭოს წევრები ბევრს იღვწიან საზოგადოებრივი და შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოფლის კეთილმოწყობისათვის. მაგალითად, XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის საბჭოს წევრთა წინადადებითა და კონტროლით განხორციელდა თემშარის რეკონსტრუქცია.

ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა რაიონის ერთ-ერთი უველაზე მოწინავე მეურნეობაა. მილიონერი კოლმეურნეობა წლითწლობით ზრდის ვენახის, სიმინდის, ჩაის პლანტაციისა და საკვები კულტურების ფართობებს. და მთელ ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ შრომის ვეტერანები, რომლებიც უხუცესთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან. „პარტიის ვეტერანთა, შრომის ვეტერანთა „კოორპუსი“ კარგ ფორმაშია, მუშურ ფორმაში“, —სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის ეს სიტყვები მართლაცდა ზედგამოჭრილია აფხაზეთის სოფელ ლიხნის უხუცესებზე. (საქინფორმი).

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ: ᲒᲖᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲨᲕᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ!

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ საგზაო-სატრანსპორტო ტრაგმატიზმი ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი რთული და მტკივნეული პრობლემაა. სათანადო სტატისტიკაც თვალსაჩინოდ ადასტურებს აღნიშნულ გარემოებას; წელს მარტო 7 თვის მანძილზე ჩვენს საავტომობილო გზებზე და ქუჩებში ავტოავარიების შედეგად გარდაიცვალა 33 და დაშავდა 109 თქვენსმტერ წლის ასაკამდე ბავშვი...

ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეტი წილი შემთხვევები გამოწვეული იყო ბავშვებისა და ყმაწვილების უდისციპლინობით. უბედურ შემთხვევებს ისიც იწვევს, რომ ბავშვებმა კარგად არ იციან საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტით სარგებლობის წესები, უფროსები ჯეროვან ყურადღებას არ იჩენენ ბავშვებისადმი; არცთუ ისე იშვიათად სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების უდისციპლინობაც გამხდარა ბავშვთა ტრავმატიზმის მიზეზი.

განსაკუთრებით იზრდება ასეთი შემთხვევები მოწაფეთა ზაფხულის არდადეგების პერიოდში, როცა ბავშვებისათვის

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ, ᲝᲯᲐᲮᲘᲡ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

სწავლისაგან თავისუფალი დრო უფროსების მიერ ხშირად ცუდად არის ორგანიზებული.

ქვემოთ მოყვანილი სამწუხარო ფაქტებიც ნათლად ადასტურებს ნათქვამს.

15 აგვისტოს სოფელ ნატანებში მახარაძის რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტობუსი, რომელსაც მძღოლი ა. სალუქვაძე მართავდა, შეეჯახა გზის საკალ ნაწილზე მოულოდნელად გამოსულ VII-კლასელ ვლოსიპედისტს. შეჯახების შედეგად მოზარდი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. 17 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ ახალდაბაში „საქსაბჭოიმოფლტექნიკის“ გარდაბნის რაიონის განყოფილების კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც მძღოლი რ. ჩხიკვაძე მართავდა, დაეჯახა 13 წლის ბავშვს, რომელიც მხოლოდ ტროსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილ გზის მონაკვეთზე გადარბოდა. მძიმე ტრავმის გამო ბავშვი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. 19 აგვისტოს ქალაქ სოხუმში უნომრო სპორტულ მოტოციკლს დაეჯირითებდა სოხუმის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ს. მასკარიანი. მასთან ერთად ტრანსპორტზე იმავე სკოლის მეხუთეკლასელი ვ. თოდუაც იჯდა. რუსთაველის ქუჩაზე გამოუცდელმა მძღოლმა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და მოტოციკლი „ეიგულს“ დაეჯახა. ორივე ბავშვი დაშავდა.

ასეთი მაგალითები თითზე ჩამოსათვლელი როდია.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ სკოლაში, ოჯახში ყალიბდება ბავშვი, როგორც პიროვნება, იწრთობა მისი მოქალაქეობრივი შეგნება და უპირველესად სწორედ სკოლამ და ოჯახმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ სხვა სიკეთესთან ერთად ნორჩმა მოქალაქეებმა ადრეული ასაკიდანვე შეისისხლხორცონ საგზაო მოძრაობის წესების პატივისცემა, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ მომავალი თაობა ჯანსაღი და ბედნიერი იყოს.

Მ. ᲙᲘᲚᲣᲠᲝᲕᲘᲩᲘ.
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ: ᲒᲖᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲨᲕᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ!

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ საგზაო-სატრანსპორტო ტრაგმატიზმი ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი რთული და მტკივნეული პრობლემაა. სათანადო სტატისტიკაც თვალსაჩინოდ ადასტურებს აღნიშნულ გარემოებას; წელს მარტო 7 თვის მანძილზე ჩვენს საავტომობილო გზებზე და ქუჩებში ავტოავარიების შედეგად გარდაიცვალა 33 და დაშავდა 109 თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვი...

ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეტი წილი შემთხვევები გამოწვეული იყო ბავშვებისა და ყმაწვილების უდისციპლინობით. უბედურ შემთხვევებს ისიც იწვევს, რომ ბავშვებმა კარგად არ იციან საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტით სარგებლობის წესები, უფროსები ჯეროვან ყურადღებას არ იჩენენ ბავშვებისადმი; არცთუ ისე იშვიათად სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების უდისციპლინობაც გამხდარა ბავშვთა ტრავმატიზმის მიზეზი.

განსაკუთრებით იზრდება ასეთი შემთხვევები მოწაფეთა ზაფხულის არდადეგების პერიოდში, როცა ბავშვებისათვის

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ, ᲝᲯᲐᲮᲘᲡ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

სწავლისაგან თავისუფალი დრო უფროსების მიერ ხშირად ცუდად არის ორგანიზებული.

ქვემოთ მოყვანილი სამწუხარო ფაქტებიც ნათლად ადასტურებს ნათქვამს.

15 აგვისტოს სოფელ ნატანებში მახარაძის რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტობუსი, რომელსაც მძღოლი ა. სალუქვაძე მართავდა, შეეჯახა გზის საკალ ნაწილზე მოულოდნელად გამოსულ VII-კლასელ ველოსიპედისტს. შეჯახების შედეგად მოზარდი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. 17 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ ახალდაბაში „საქსაბჭოიმოფლტექნიკის“ გარდაბნის რაიონის განყოფილების კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც მძღოლი რ. ჩხიკვაძე მართავდა, დაეჯახა 13 წლის ბავშვს, რომელიც მხოლოდ ტროსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილ გზის მონაკვეთზე გადარბოდა. მძიმე ტრავმის გამო ბავშვი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. 19 აგვისტოს ქალაქ სოხუმში უნომრო სპორტულ მოტოციკლს დაეჯირითებდა სოხუმის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ს. მასკარიანი. მასთან ერთად ტრანსპორტზე იმავე სკოლის მეხუთეკლასელი ვ. თოდუაც იჯდა. რუსთაველის ქუჩაზე გამოუცდელმა მძღოლმა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და მოტოციკლი „ეიგულს“ დაეჯახა. ორივე ბავშვი დაშავდა.

ასეთი მაგალითები თითზე ჩამოსათვლელი როდია.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ სკოლაში, ოჯახში ყალიბდება ბავშვი, როგორც პიროვნება, იწრთობა მისი მოქალაქეობრივი შეგნება და უპირველესად სწორედ სკოლამ და ოჯახმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ სხვა სიკეთესთან ერთად ნორჩმა მოქალაქეებმა ადრეული ასაკიდანვე შეისისხლხორცონ საგზაო მოძრაობის წესების პატივისცემა, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ მომავალი თაობა ჯანსაღი და ბედნიერი იყოს.

Მ. ᲙᲘᲚᲣᲠᲝᲕᲘᲩᲘ.
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲐᲫᲘᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘ

Ვ. ᲒᲝᲒᲚᲘᲫᲘᲡ მემორიალის ფინიშზე მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს პრიზებისა და სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნორმების შესრულების პრეტენდენტებს შორის. მოჯადოკაც ვაჟთა ამ საერთაშორისო შეჯიბრებაზე პირველი პრიზის ძირითადი პრეტენდენტი 26 წლის ვლადიოსული ვიქტორ გავრიუკოვია. ახლა თუ მან ორი დასკვნითი შეხვედრაც მოიგო, იგი საერთაშორისო დიდოსტატის ბალსაც მიიღებს.

ლიდერის უახლესი მდგომარეობა არიან ოლი, ნოგეირასი და უბილავა. ჭაბუკ ესტონელს საერთაშორისო ოსტატის ნორმის შესრულებისაგან სულ რაღაც ნახევარი ქულა აშორებს. 24 წლის ხესუს ნოგეირასი ახლა კუბის № 2 მოჯადოკაკეა გილერმო გარსიას შემდეგ და ეს მაღალი რეპუტაცია მან თბილისშიც დაამტკიცა, განსაკუთრებით კარგად ნოგეირასი შეჯიბრების მეორე ნახევარში თამაშობს. იგივე ითქმის უბილავაზეც (4 ქულა ბოლო 5 შეხვედრიდან), რომელმაც თითქმის უიმედო სატურნირო სიტუაციაში დიდი შემართება და სიმტკიცე გვიჩვენა. საპრიზო ადგილების სხვა პრეტენდენტები არიან გუფელდი, ჰენლი, ზაიჩიკი და ადამსი. მეთორმეტე ტურამდე გუფელდის სატურნირო სქემეები ძალიან კარგად იყო, მაგრამ იგი ძალიან შეაფერხა ჰენლისთან დამარცხებამ, რომელთანაც დიდხანს მოგების შესაძლებლობები ჰქონდა. ზაიჩიკზე ჯერჯერობით მხოლოდ კარგი შეიძლება ითქვას. ცნობილია, თუ რაოდენ ძნელია ორ და ისიც საერთაშორისო ტურნირებში ზედიზედ მონაწილეობა. ნუ დავიწყებთ, რომ როდესაც თბილისში შეჯიბრება დაიწყო, კეჩკემეტის ასპარეზობა ჯერაც არ იყო დამთავრებული! ასეთ პირობებში ზაიჩიკმა მაინც შეინარჩუნა ენერგია და თამაშის ხალისი. მეტად შეშფოთავი მოჯადოკაკეა ადამსი, რომელსაც მხოლოდ ერთი დამარცხება აქვს. დანარჩენებიდან უნდა აღინიშნოს გია გიორგაძე, რომელსაც კარგი შესაძლებლობა აქვს შესრულოს ფიდეს ოსტატის ნორმა. ამისათვის მას ნახევარი ქულაღა სჭირდება.

გუშინ მეთოთხმეტე ტურში გავრიკოვმა მოუგო ზაიჩიკს, მოგაროვა 10 ქულ